Вполне последовательным есть вопрос такого же характера относительно идей опосредствованных вторичными качествами, на что снова дадим возможность ответить самому автору. Локк отмечает то, что не будет прибегать к изучению того, в следствие какого движения души и изменений в нашем теле, мы получаем ощущение через свои органы чувств.

Взаимодействие, взаимообогащение ощущений, значит и опыта, - важный принцип истории становления индивидуального сознания в философии Локка. При рассмотрении философских работ Локка мы видим, что описывая историю человеческого разума, Локк доводит то, что природа разума без общения с миром, без опыта предыдущих поколений, без воспитания, совсем пустая, чем-то похожа на «tabula rasa».

По мере того, как накапливаются разнообразные чувственные впечатления у человека возникают и иные познавательные способности, о чем Локк пишет: «душа постепенно делает в этом успехи и переходит к упражнению способностей расширения, сочетания и абстрагирования своих идей, рассуждения о них и размышления обо всем этом» [4, С. 167].

Получая простые идеи, наша душа пассивна, но когда она уже получила такие идеи, тогда она уже имеет возможность проводить с ними операции, например, может комбинировать идеи одну с другой, и таким образом формировать сложные идеи, кроме того, она способна отделять некоторые идеи от других, связанных с ней (а значит, абстрагировать), и формировать общие идеи.

Таким образом мы последовательно подошли к рассмотрению сложных идей, и именно их мы будем рассматривать среди продукта рефлексии в философии Локка. Сложные идеи Локк разделяет на три большие группы: модусы, субстанции и отношения.

Для начала рассмотрим модусы. Дадим им определение: модусы представляют собой сложные идеи, которые в любом случае оказываются сложными, в том смысле, что они не содержат ссылок на самостоятельное существование отдельных элементов, рассматриваемых в зависимости один от другого как эффекты от субстанций, эти идеи, обозначаемые словами «треугольник», «благодарность», «убийство» и др. Если я употребляю здесь слово «модус» в несколько необычном значении, я прошу прощения. Но в рассуждениях, расходящихся с общепринятыми взглядами, неизбежно или образование новых слов, или употребление старых в несколько новом значении; последний прием в данном случае, быть может, более подходящий».

Существуют также два вида модусов, которые по мнению Локка заслуживают особого рассмотрения. Некоторые модусы являются только разновидностями сочетаний одной той же простой идеи, без добавления любой иной. Например: «дюжина или двадцатка, которые представляют собой не что иное, как идеи стольких-то отдельных единиц, соединенных вместе» [4, С. 213]. Такие идеи Локк называет простыми модусами потому, что они находятся в поле только одной простой идеи. Другие сложены из простых идей разных видов. Например: «...красота, которая состоит в известном сочетании окраски и формы, вызывающем восхищение у зрителя, или воровство, которое состоит в тайной перемене владения вещью без согласия владельца и представляет, очевидно, сочетание нескольких идей различных видов» [4, С. 213]. Такие модусы Локк называет смешанными.

Идея субстанции берет свое начало с констатации нами факта того, что некоторые простые идеи всегда связаны между собой. И в следствие этого мы привыкаем к тому, чтобы считать истинной мысль о существовании некоего «субстрата», в котором существуют и с оторого появляются идеи, хотя и не имеем ни малейшего понятия об этом «субстрате». Стоит отметить тот факт, что Локк не откидывает субстанцию, а отрицает только тот факт, что мы имеем по поводу их ясные и четкие идеи. «... он считает, что точные знания этих идей не имеют ничего общего с пониманием конечного разума» [5, С. 333]. Наведем ниже цитату, где Локк проводит разделение на субстанцию единичную и сборную: «идей субстанции также бывает два вида: идеи простых субстанций, существующих отдельно, например идеи человека или овцы, и идеи нескольких таких субстанций, соединенных вместе, например армия людей или стадо овец; при соединении таких собирательных идей нескольких субстанций каждая из них такая же единичная идея, как и идея человека или единицы».

Идеи отношения возникают из совмещения идей и последующего мысленного сравнения. Каждая идея может быть сопоставлена с другой бесконечным количеством способов (например, собака в отношении своего хозяина может быть охранником, другом или помощником, скажем, хотя бы на охоте. В то же время она может выступать в роли матери для своих щенков). Аналогичные действия или процедуры можно проводить с множеством других идей. Но существуют идеи отношений особо важные, например, идеи причины и следствия, или же идея тождества, или же идея этических отношений.

Именно в таком переходе от чувственного к рациональному, являющемуся результатом более сложной познавательной способности, заключается для Локка одна из основных проблем. Поскольку, когда речь идет о чувствах, у него нет никаких сомнений по поводу истинности чувств как источника знаний о внешнем мире. «Когда я говорю, что чувства доставляют [идеи] уму, я хочу сказать, что от внешних предметов они доставляют уму то, что вызывает в нем эти восприятия. Этот богатый источник большинства наших идей, зависящих всецело от наших чувств и через них входящих в разум».

Но, признание того, что чувство является источником большинства человеческих идей о материальном мире, не дает ответ на вопрос, поставленный Заиченко Г.А. в своей книге «Джон Локк»: «каков тот остаток идей, не отнесенных Локком к чувствам, откуда он черпается?» «Казалось бы», - пишет Заиченко, - «природно считать, что этот ответ скрывается в локковском определении внутреннего

опыта, рефлексии». Приведем одно из таких определений: «[рефлексия] - внутреннее восприятие действий (operations) нашего ума, когда он занимается приобретенными им идеями. Как только душа начинает размышлять и рассматривать эти действия, они доставляют нашему разуму (understanding) идеи другого рода, которые мы не могли бы получить от внешних вещей» [4, С. 155].

Стоит только решить, что такое, или же много иных аналогичных определений исчерпывают поставленный выше вопрос, как Локк будет восприниматься нами как дуалист. «В самом деле, что, казалось бы, как не дуализм, означают его слова о том, что внутренний опыт «доставляет нашему разуму идеи другого рода, которые мы не могли бы получить от внешних вещей?» [1, С. 62]. Для того, чтобы ответить на эти и на другие интересные вопросы, непременно возникающие при рассмотрении философии Джона Локка нужно выяснить и разложить на большее количество спектров вопросы, что касаются того, чем именно есть рефлексия, по своей структуре, а также определить особенности использования (употребления) одного из ключевых терминов в гносеологии Локка - «идея». А этот вопрос очень сложный и многогранный.

## Литература

### References:

1. Zaichenko G.A. Dzhon Lokk. – M., Mysl', 1988. – 199 s.
2. Ístoríia filósofíi: Pídruchnyk / Yaroshovets' V. Í., Bichko Í. V., Bugrov V. A. ta ín.; za red. V. Í. Yaroshovtysya. – K.: Vid. PARAPAN, 2002. – 774 s.
3. Leibnits G.V. Sochineniia v chetyrekh tomakh: T. II – M., 1983. – 686 s.
4. Lokk Dzhon. Sochineniia v trekh tomakh. – M., 1985., T. 1. – 622 s.
5. Reale Dzhovanni, Antiseri Dario. Zapadnaia filósofiia ot istokov do nashikh dnei (Novoie Vremia (Ot Leonardo do Kanta )) T. 3 – Sankt-Peterburg: TOO TK «Petropolis», 1996. – 714 s.
6. Romenets' V.A., Manokha Í.P. Ístoríia psikhologíi XX stolítia: Navch. Posíbyk / Vst.st. V.O. Tatenka, T.M. Titarenko. - K.: Lybid', 1998. - 992 s.
7. Saprykin D.L. Regnum Hominis. Imperskii proekt Frensis Bekona. – M., Indrik., 2001.
8. Skirbekk G., Gilie N. Istoriia filósofii: Ucheb. posobiie dlia stud. Vyssh. Ucheb. zavedeni / Per. s angl. V. I. Kuznetsova; pod red. Krymskogo. - M.: Gumanit izd. Tsentr VLADOS, 2000. - 800 s.
9. Skraton Rodzher Korotka ístoríia novítnoi filósofíi: víd Dekarta do Vítgenshteina. K., 1998. – 331s.
10. Sokolov V.V. Ot filósofii antichnosti k filósofii novogo vremeni. Sub"yekt - ob"yektnaya paradigma. – M.: Editorial URSS.,1999. – 336 s.

11. Tatarkevich Vladislav. Ístoríia filosofíi / Oleg Gírnii (per.), Yanush Sanotskii (per.). — L.: Svichado, 1997.; T. 2: Fílosofíia Novogo Chasu do 1830 roku. — 352s.

12. Yaroshovets' V.Í. Liudyna v systemí píznannia. – K., Pedagogika, 1996. – 208s.

**Рецензент:** профессор Людмила Шугаева, доктор философских наук, заведующая кафедрой философии Ровенского государственного гуманитарного университета.

**მარია გრიციშინა**

**ჯ.ლოკის ადამიანური გამოცდილების სტრუქტურის შესახებ მოკლვრების ბნოსეოლოგიური აზრი**

### **რეზიუმე**

სტატიაში გაანალიზებულია ჯ. ლოკის ნაშრომი „გამოკვლევა ადამიანური გონების შესახებ“, რომელშიც ფილოსოფოსი გონების უკეთესად, რაციონალურად და უფრო სრულყოფილად გამოყენების ამოცანას სვამს, და განიხილავს აგრეთვე კვლევებს ადამიანური შემეცნების წარმომავლობის, სანდობისა და მოცულობის შესახებ.

ჯ. ლოკისთვის მნიშვნელოვანი იყო არა მარტო ადამიანური შემეცნების კონკრეტულ სფეროებში ადამიანური გონების გამოყენებითი მხარე, არამედ თვითონ გონების, მისი უნარის, შესაძლებლობების, ფუნქციისა და საზღვრების კვლევა, იმ საზღვრების დადგენა, რომლებშიც ადამიანური გონებას შეუძლია და უნდა მოქმედებდეს და რომლებსაც ადამიანური გონება ვერ გასცდება თავისი სტრუქტურის გამო.

ლოკის აზრით, სხვადასხვა საკითხების გადასაჭრელად, რომელთა გამოკვლევის უნარიც ადამიანურ გონებას შესწევს, პირველი ნაბიჯი უნდა იყოს პიროვნული ძალების გამოკვლევა იმის გათვალისწინებით თუ რისთვის არის საჭირო მათი გამოყენება. რაც შეეხება თავად იდეებს, ისინი გამოცდილების შედეგად ჩნდებიან და ამიტომ გამოცდილება ნებისმიერი შესაძლებელი შემეცნების თანმდევი თვისებაა.

**საკვანძო სიტყვები:** გამოცდილება, იდეა, შთაბეჭდილებები, გნოსეოლოგია, რეფლექსია

**რეცენზენტი:** პროფესორი ლუდმილა შუგაევა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, რონოს სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის გამგე.

**Maria Gritishin**

**EPISTEMOLOGICAL CONTENT OF THE DOCTRINE OF THE  
STRUCTURE OF HUMAN EXPERIENCE JOHN LOCKE**

**Summary**

The article analyzes the work of John Locke «Experiment of human understanding». In which the philosopher seeks to output the best, most efficient and the perfect use of brain and study the origin, authenticity and scope of human knowledge. It was important for Locke not purely practical application of human intelligence in specific areas of human cognition, but study of the mind and its capabilities, possibilities, functions and limits. To identify the extent to which the human mind can and must act, and borders for which you can not overstep, areas that are closed to the power of the mind in its structure.

According to John Locke, the first step to solve various issues, that the human mind can explore, must be the study of personal power, regarding of their use.

**Keywords:** experience, ideas, impressions, epistemology, reflection.

**Reviewer:** Professor Liudmyla Shugaeva, Ph.D., Head of the Philosophy Department of Rivne State University of Humanities

# საჯარო მმართველობის პრაქტიკა

ნანა ხარაძე  
საჯარო სამსახურის საზრისის განვითარების ისტორია  
დემოკრატიულ სახელმწიფოში

დღევანდელ პირობებში საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მნიშვნელობა, მისი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა მეტად აქტუალურია, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის საზრისის განვითარების ისტორიის შესახებ მსჯელობა. სტატიაში საუბარია, თუ პირველად სად და როგორ ჩამოყალიბდა საჯარო სამსახური, ასევე რა განვითარება ჰპოვა მან დემოკრატიულ სახელმწიფოებში.

ვის დაქვემდებარებაშია და ვის ემსახურება ადმინისტრაცია? - ამ კითხვაზე პასუხი გაცემული წარმოდგენილი სტატიით. ასევე განხილულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა „საჯარო მართვის ამერიკული საზოგადოების ეთიკის კოდექსი“, „პენდელტონის აქტი“, „საჯარო სამსახურის რეფორმის აქტი“, რომელთა ძირითადი მიზანი იყო პოლიტიკური გავლენის მოსპობა და კომპეტენტური მოხელეების მიზიდვა საჯარო დაწესებულებებში.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოს სამოხელეო ინსტიტუტს, მის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შემონახული, თუმცა წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტი ძალზე განვითარებული იყო, მის ცალკეულ ორგანოებს ახასიათებდა რაციონალური ბიუროკრატიისათვის ნიშანდობლივი თავისებურებანი.

**საკვანძო სიტყვები:** საჯარო სამსახური, ბიუროკრატია, დემოკრატია, პენდელტონის აქტი, სამოხელეო სამართალი.

საჯარო სამსახური წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ სახელმწიფო ინსტიტუტს. სწორედ ამიტომ მისი საზრისის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ მსჯელობა ძალზე მნიშვნელოვანია. დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფო სამსახური პირველად კონტინენტურ ევროპაში განვითარდა, მე-16 საუკუნეში საფრანგეთში, ხოლო მე-17 საუკუნიდან გერმანიასა და შვედეთში [1;92]. საინტერესოა, ტერმინის



„საჯარო სამსახური“ გაგება საზღვარგარეთის ქვეყნებში, ეს საშუალებას გვაძლევს გავმიჯნოთ ერთმანეთისგან საჯარო და კერძო დაწესებულებები, მოვახდინოთ განსხვავება საჯარო და არასაჯარო მოხელეებს შორის. სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ დოქტრინაში საჯარო სამსახურის ცნების განსხვავებულ განმარტებას იყენებენ, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი: საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ლაპარაკია საჯარო სამსახურზე, როგორც საჯარო ხელისუფლების პროფესიულ, შეუცვლელ მმართველ აპარატზე და გამოიყენება ცნება „ბიუროკრატიული სამართალი“ (ამერიკის შეერთებული შტატები, ლათინური ამერიკის ქვეყნები) ან „სამოხელეო სამართალი“ (გერმანია, შვეიცარია) [1;92-94]. ის ჩვეულებრივ განიხილება ინსტიტუტის სახით ან ადმინისტრაციული სამართლის ქვედარგის სახით. ამასთან, სამოხელეო ან ბიუროკრატიული სამართალი შემთხვევით არაა აღიარებული „ყველაზე უძრავად, რომელიც ძლივს ექვემდებარება მატერიის ცვლილებებს“ [2;63-86].

ფრანგულ ადმინისტრაციულ სამართალში ტერმინი „საჯარო სამსახური“ გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელობით. საჯარო სამსახურში ფართო გაგებით გულისხმობენ „ტერიტორიული გაერთიანებების, საჯარო დაწესებულებებისა და ნებისმიერი ადმინისტრაციის პროფესიული მოღვაწეობის განხორციელებას სახელმწიფოს ინტერესებში. საჯარო სამსახური სიტყვის ვიწრო გაგებით – ეს არის სახელმწიფოს აგენტები, ტერიტორიული კოლექტივების და საჯარო დაწესებულებების მუშაკები, რომელთაც აქვთ სახელმწიფო მოსამსახურეების სტატუსი“ [3;127]. ადმინისტრაციულ - სამართლებრივი მეცნიერების ფრანგი კლასიკოსის ა. ფოილის განმარტების მიხედვით, საჯარო მართვა „ნიშნავს წინასწარ განჭვრიტო, ორგანიზებული მართო, გასცე განკარგულებები, უხელმძღვანელო და აკონტროლო“ [4;12].

რაც შეეხება საჯარო სამსახურს დიდ ბრიტანეთში, აქ იგი იწოდება, როგორც სამოქალაქო სამსახური, აღნიშნული ტერმინი პირველად გამოიყენეს ბრიტანული ოსტ-ინდოეთის კომპანიის მოსამსახურეებთან დაკავშირებით. ახლა კი იხმარება ნებისმიერ სამთავრობო სამსახურთან მიმართებაში, სადაც თანამდებობები ივსება ღია კონკურსის საფუძველზე და არის საჯარო სამსახურის სინონიმი. სწორედ სამოქალაქო (საჯარო) მოსამსახურეთა წყალობით რომელიმე სამინისტროს ან კაბინეტის ფარგლებში ჯერ ყალიბდება, შემდეგ კი

რეალიზდება მნიშვნელოვანი სამთავრობო გადაწყვეტილებები. ამრიგად, სამოქალაქო სამსახური არის დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო სამსახურის ძირითადი შემადგენელი ნაწილი [5]. კონტინენტური სამართლის ოჯახის ქვეყნებში უფრო ზუსტად არის ფორმირებული საჯარო სამსახურისადმი ამა თუ იმ საქმიანობის მიკუთვნების კრიტერიუმი. საჯარო სამსახური განიხილება ორ ძირითად ასპექტში: ერთი მხრივ, ფორმალური, ორგანიზაციული გაგებით – როგორც ადმინისტრაციის მიერ მართული საწარმო (le service public); ხოლო მეორეს მხრივ, მატერიალური, ფუნქციური გაგებით – როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიმართული საქმიანობა (la fonction publique) [6;478-479].

რუსი მეცნიერი ჩირკინი სახელმწიფო მოხელეს მოიხსენიებს როგორც „უჯრედს“ და განმარტავს, რომ სახელმწიფო სამსახურის „უჯრედი“ არის საჯარო მოხელე [7;99], ხოლო ბულგარელი მეცნიერი ა. ანგელოვი თვლის, რომ თანამდებობის პირის, მათ შორის სახელმწიფო მოხელეების, თავისებურება ისაა, რომ იგი გამოდის სახელმწიფო ორგანოს როლში, ე.ი. არა მარტო გამოდის სახელმწიფო ორგანოს სახელით, არამედ თვითონ არის სახელმწიფო ორგანო [8;224-225]. სწორედ ამიტომ საჯარო სამსახურის შექმნის მიზანი თავიდანვე იყო ღია, მადალპროფესიონალური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მოემსახურებოდა სახელმწიფოს [9]. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საჯარო მოხელის როლი საჯარო დაწესებულების მართვაში დიდია, მეცნიერები კორსმიტი და ველდერი მოხელის თვისებათაგან უპირველეს ყოვლისა პროფესიონალიზმს ასახელებენ. ვის დაქვემდებარებაშია და ვის ემსახურება ადმინისტრაცია? ზოგადად აღიარებულია, რომ საჯარო ადმინისტრაცია ექვემდებარება პოლიტიკურ ხელისუფლებას. ცნობილი ფრანგი ადმინისტრატივისტი შ.დებაში საჯარო ადმინისტრაციას განიხილავდა, როგორც საჯარო საქმეებზე მმართველობის განმახორციელებელ მმართველობით აპარატს, რომელიც ემსახურება პოლიტიკური ხელისუფლების მიერ შემუშავებული მიზნების რეალიზაციას [10;17], ხოლო ნოტინგემის უნივერსიტეტის პროფესორი დ. გარნერი განმარტავდა, როგორც „სამთავრობო მანქანას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პოლიტიკა“ [11;24]. ცნობილ ფრანგ მეცნიერებს ჟ. ვედელსა და პ. დელვოლეს მიაჩნიათ, რომ

ადმინისტრაციული ორგანოები, როგორც წესი, იქმნება მმართველობის შედარებით უფრო „მტიკუნულ“ რეოლებში - პოლიტიკური თავისუფლებისა და ეკონომიკის სფეროებში, სადაც განსაკუთრებით საჭიროა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, მიუკერძოებლობა და პროფესიონალიზმი [12;459]. მაგალითად, ტოტალიტარიზმის დროს მთავრობა არ ეგუებოდა განსხვავებულ აზრს, იგი აიძულებდა ადამიანს უარი ეთქვა ნებისმიერ საქმიანობაზე, რომელსაც არ იწონებდა მთავრობა [13;32], ხოლო საუკეთესო მოხელედ ითვლებოდა ის, ვინც უფროსის ბრძანებას ემორჩილებოდა. აღნიშნული საკითხები დღესაც პრობლემას წარმოადგენს. თუმცა საინტერესოა სტრასბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის რექტორის მოსაზრება, რომლის თანახმადაც: „არც ერთი მმართველობა არ გრძელდება და არ იქნება მიღებული ისეთი მადლიერებით, როგორც კეთილშობილი და უადრესად განათლებული სახელმწიფო მოხელეების მმართველობა“ [13;7]. სწორედ 1800-იანი წლების ბოლოს გამახვილდა ყურადღება საჯარო მოხელეების კომპეტენციასა და პროფესიონალიზმზე, ხოლო შემდგომ დემოკრატიული საჯარო სამსახურის შესახებ კანონმდებლობის ჩამოყალიბებაზე. შეიქმნა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა „საჯარო მართვის ამერიკული საზოგადოების ეთიკის კოდექსი“, „პენდელტონის აქტი“ (1883 წელი), „საჯარო სამსახურის რეფორმის აქტი“ (1978 წელი), რომელთა ძირითადი მიზანი იყო პოლიტიკური გავლენის მოსპობა და კომპეტენტური მოხელეების მიზიდვა საჯარო დაწესებულებებში.

საჯარო სამსახური წარმოადგენს პროფესიონალურ ბიუროკრატიულ სტრუქტურას. სიტყვა „ბიუროკრატია“ 1745 წელს შემოიტანა დე გურემ და ნიშნავს ჩინოვნიკთა ძალაუფლებას [14;205]. ბიუროკრატია არსებობდა ძველ ეგვიპტესა და ჩინეთში, რომის იმპერიასა და სხვა ქვეყნებში. ისტორიულად ბიუროკრატია მასეთი გზა განვლო, მან თავი იჩინა ნაციონალური სახელმწიფოების განვითარების პროცესში, თანაც მშვიდობიან პერიოდში, როდესაც იზრდებოდა სოციალური წესრიგის მოთხოვნილება. XVIII-XIX-სს-ში სამრეწველო რევოლუციების პერიოდში ბიუროკრატია გავრცელდა დასავლეთში. ახალი სამრეწველო საწარმოების შექმნა მოითხოვდა კაპიტალდაბანდებების უფრო რთული მეთოდებისა და სამუშაო ძალის უფრო რაციონალურად

გამოყენებას. შესაბამისად გართულდა მმართველობის ფორმები [15].

ვებერს რაციონალიზაციის პროცესის მთავარ ასპექტად მიანდა ბიუროკრატიის (მმართველი აპარატის) ფორმირება. ბიუროკრატიისთვის დამახასიათებელი ნიშნების აღწერის მიზნით მან გამოიყენა მისი იდეალური მოდელი, რაც არასოდეს არ შეესაბამება ზუსტად რეალური სამყაროს სპეციფიკურ სიტუაციას, მაგრამ ის შეიძლება გამოდგეს სოციალური მოვლენების განზოგადების პროცესში.

ვებერმა გამოყო ბიუროკრატიის იდეალური ტიპის შვიდი ძირითადი მახასიათებელი: 1. შრომის დანაწილება. 2. დაქვემდებარების ნუსხა - ეს არის თანამდებობების პირთა იერარქიის აღწერა. 3. საჯარო ოფისი (კანცელარია, ან „ბიურო“) - ბიუროკრატიის საფუძველია. აქ შეკრებილია წერილობითი დოკუმენტები, რომელშიც დარეგისტრირებულია და შენახულია ცნობები დაწესებულების საქმიანობის შესახებ. 4. ორგანიზაციაში თანამდებობის პირთა მომზადების ოფიციალური პროცედურა. 5. საშტატო თანამშრომლებისთვის, ვინც საკუთარი ძალები მთლიანად მოახმარა ორგანიზაციას, არის ძირითადი საქმიანობა. 6. წესები, საკმარის ზოგადია, მეტნაკლებად მდგრადი, რომლებიც არეგულირებენ მუშაობის რეჟიმს. მათი ათვისება და შესრულება არაა ძნელი. 7. ლოიალობა, ყოველი თანამშრომლის ორგანიზაციის მიმართ, სწრაფვა დადგენილი ნორმების დაცვისკენ, რაც სულაც არ ნიშნავს თავდადებასა და ერთგულებას დაწესებულების ხელმძღვანელის ან რომელიმე თანამშრომლისადმი. [16; 51]

ვებერის კონცეფციის თანახმად, ბიუროკრატია არის ორგანიზაციის საუკეთესო ფორმა, რაც შეიძლება წარმატებით განხორციელდეს გარკვეული წესების საფუძველზე ან, როგორც ვებერი ამბობს „ადამიანის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე“ [16;51]. კონფლიქტის თეორიის მიმდევრები გვთავაზობენ ბიუროკრატიის განვითარების სხვა ვერსიას. ყველა სოციალურ ჯგუფებში მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისთვის, რომლის შეკავება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯგუფის ფუნქციონირება პარალიზდება. ბიუროკრატიის ზოგიერთი თვისება ხელს უწყობს კონფლიქტების დარეგულირებას. მათ განეკუთვნება ძალაუფლების დანაწილების სისტემა, ასევე სამუშაოს როლისა და მეთოდების ზუსტი განსაზღვრა. სხვა სიტყვებით,

ბიუროკრატიული სტრუქტურა ხელს უწყობს დისციპლინის გაძლიერებასა და დავის მოწესრიგებას.

ბიუროკრატიის ბატონობის საკვანძო ფაქტორია ადამიანებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ბიუროკრატიული სტრუქტურა იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ საჭირო ინფორმაცია, აქვთ შესაძლებლობა იწინასწარმეტყველონ საქმიანობის შედეგები და, აქედან გამომდინარე, აქვთ იერარქიულ სისტემაში მათი სტატუსის შესაბამისი გავლენა.

დღესაც ორგანიზაციათა უმრავლესობას შეიძლება ბიუროკრატიული ეწოდოს. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ადმინისტრაცია, რომელიც უმთავრესად ემყარება იერარქიულ პრინციპებს, გაუპიროვნებელ მოქმედებებს, ფორმალიზმსა და რაციონალიზმს, ადამიანურ ფაქტორს არ ითვალისწინებს და მას მრავალი ნაკლი აქვს. ამასთან, იერარქიული, წესდებების საფუძველზე მოქმედი, ფორმალური და გაუპიროვნებელი ორგანიზაციები აღარ შეესაბამება ჩვენი ცვალებადი საზოგადოებების მოთხოვნებს, მოქალაქეთა მოლოდინს და ვერც „ბიუროკრატთა“ უკვე განსხვავებულ განწყობას, კვალიფიკაციებს, ფასეულობებსა და პროფესიულ დონეს აკმაყოფილებს. რადგან ამ წესებს ახასიათებს სხვა ფუნქციებიც: კომუნიკაცია – ეს წესი ზუსტად გვამცნობს ადმინისტრაციის მოთხოვნას, მაგრამ ასევე, გარკვეულწილად უშვებს ამ მოთხოვნილებების მცირედი დარღვევის შესაძლებლობას. დღეს უკვე ყველასთვის ნათელია, რომ მართვის სტილი, რომლისთვისაც მთავარია რაციონალიზმი, სიხისტე და ორგანიზაციული (და ნაკლებად – პიროვნული) პრინციპები, საქმეს უფრო აზარალებს, ვიდრე რგებს. კლასიკური მოდელის საფუძველიანი პრინციპები სულ უფრო ხისტი გახდება იმ შემთხვევაში, თუ არ გაიზრდება მობილობა (მაგ. როცა საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში მიღება მხოლოდ საწყისი დონის თანამდებობებზე ხდება). ხოლო იერარქიული ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელია გაჭიანურებული პროცედურები და მოქალაქეებში ის უკმაყოფილებასა და იმედგაცრუებას იწვევს [17;22-29]. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ ბოლო რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანაში დაიწყო მთელი რიგი რეფორმების გატარება, დღემდე არ არსებობს ბიუროკრატიული მოდელის უნივერსალური ალტერნატივა. ძირითადად, რეფორმები მიზნად ისახავს

იერარქიული სტრუქტურის შერბილებას, ორგანიზაციული სტრუქტურის გათანაბრებას, მეტი მობილობისა და მოქნილობის შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემების დანერგვას.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოს სამოხელეო ინსტიტუტს, მის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შემონახული, საიდანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ბექა (1295-1304 წწ) და აღბუღას (1444-1451) „სამართლის წიგნი“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ (1335 წ), გიორგი ბრწყინვალის „ხელმწიფის კარის გარიგება“ (მე-14 საუკუნე), ვახტანგ VI-ის „დასტურდამადი“ (მე-18 საუკუნის დასაწყისი), და სხვა. [18; 33]. ზემოთ დასახელებული წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტი ძალზე განვითარებული იყო. მის ცალკეულ ორგანოებს ახასიათებდა რაციონალური ბიუროკრატიისათვის ნიშანდობლივი თავისებურებანი, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

1. მოხელეების უფლება-მოვალეობათა მკაფიო დანაწილება, სადაც გამოიწვეულია ცენტრალური და ადგილობრივი აპარატი;

2. სამოხელეო აპარატის იერარქიულობა. მაგალითად: მსახურთუხუცესი, სალარო, საწოლი, მესაწოლე-უხუცესი, ფარეშო-უხუცესი; („ხელმწიფის კარის გარიგება“)

3. პოლიტიკური და პროფესიული მოხელეების გამოიჯნა. ფეოდალურ საქართველოში არსებობდა დიდებულები, ვეზირები ანუ დღევანდელი გაგებით პოლიტიკური თანამდებობის პირები და „საქმის-მოქმედნი“, რომლებიც აღასრულებდნენ ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას;

4. თანამდებობის მითვისების უფლების შეზღუდვა მეფის ხელისუფლების მიერ. „საქმის-მოქმედი“ მოხელეებს თანამდებობები მემკვიდრეობით არ ენიჭებოდათ „მეფის თანაზიარ“ ხელისუფლებისაგან განსხვავებით [19;85-86].

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოში დამყარდა რუსული მმართველობა, რის შესახებაც რუსი იურიდიულ მეცნიერებთან დოქტორი ა.ვ. ობოლონსკი ამბობს, რომ ალექსანდრე მეორის რეფორმის შედეგად, „ნახევრადიმპერიულ“ ელემენტებს დამატარაციონალური ბიუროკრატიის ელემენტებიც [20;35-45]. ხოლო ანექსიის შედეგად საქართველოში დამყარდა პატრიმონალიზმი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო განუკითხაობა. 1722 წლის 24 იანვარს პეტრე დიდმა შემოიღო „ტაბელი რანგების

შესახებ”. იგი აწესებდა 14 ჩინს და მხედველობაში არ მიიღებოდა საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმი [20; 45-65]. 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მე-15 თავი [21] მთლიანად ეთმობოდა სახელმწიფო მოხელეს, აღნიშნულ თავში საუბარი იყო: დისციპლინურ პასუხისმგებლობაზე, საპენსიო უზრუნველყოფაზე, მოხელის მიერ მიყენებულ ზიანზე და სხვა. სახელმწიფო სამსახურს, ჩვეულებრივ, უწოდებენ საჯარო სამსახურს, რომლის შინაარსშიც ფორმალური გაგებით გულისხმობენ ორგანიზაციულ მუშაობას; იგი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივად სასარგებლო მოთხოვნათა უზრუნველყოფისაკენ [8; 205].

საბჭოური კონსტიტუციების მოქმედების პერიოდში (1922, 1927, 1937, 1978 წწ) მმართველობის საფუძველს წარმოადგენდა პარტიულ-ნომენკლატურული სისტემა, რომლის ძირითადი პრინციპები იყო: თანამდებობაზე დანიშვნა და მათი სრული კონტროლი (პირადი ცხოვრების ჩათვლით), მმართველობითი აპარატის კადრების შერჩევა და „აღზრდა“, ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავება მხოლოდ პარტიის წევრების მიერ, ერთგულების მიხედვით შერჩევის მკაცრი პოლიტიკა [19;93-94]. საქართველოს საჯარო სამსახურის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 29 ივნისს მიღებული „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, სადაც საუბარი იყო საჯარო სამსახურის ფუძემდებლურ პრინციპებზე, კანონის უზენაესობაზე, საქართველოს მოქალაქეებისათვის პროფესიული მომზადების შესაბამისად სახელმწიფო სამსახურის უფლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უნარზე, სახელმწიფო სამსახურის არაპარტიულობაზე და სხვა.

1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოში მოქმედება დაიწყო ახალმა კონსტიტუციამ.[22] რომელიც ქართველმა ხალხმა გამოაცხადა თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებზე და 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით. კონსტიტუციის მიღებით დაიწყო ქვეყნის დემოკრატიული განვითარება. დღეს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

რა არის დემოკრატია? საჯარო მართვის პროფესორი ფედერიკ მოშერი თავს არიდებს დემოკრატიის ცნების ჩამოყალიბებას და ამბობს „ჩემი წიგნი იღებს ვალდებულებას,

რომ არ განსაზღვროს დახვეწილი და ზუსტი განმარტება დემოკრატიის” [23;3], თუმცა აქცენტს აკეთებს სახელმწიფო დაწესებულების მომსახურებაზე და მის დემოკრატიასთან მიმართებაზე. მოშერი დემოკრატიულ სახელმწიფოს „პროფესიულ სახელმწიფოს”[23;5] უწოდებს ანუ მისი შეხედულებით, პროფესიონალიზმია განმსაზღვრელი საჯარო სამსახურის წარმატებული ფუნქციონირებისათვის, რასაც ასევე ეთანხმება ჯემს პერი და თვლის, რომ საჭიროა ახალი ტიპის საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, სადაც მოხდება საჯარო მოხელეების უფლებების დაცვა, ბიზნესისა და სახელმწიფო სამსახურს შორის განსხვავება, მოქალაქეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, პოლიტიკური ზეგავლენის მოსპობა, კვალიფიციური კადრის შერჩევა [24; 3-15]. აქედან გამომდინარე, საჯარო სამსახურში კარგი მმართველობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს საჯარო მოხელეები, რომლებიც საზოგადოებაში დიდ როლს თამაშობს [25;11]. დემოკრატია არის მმართველობის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით მართვის განხორციელებაზე. ქვეყნის მართვაში მოსახლეობის მონაწილეობა დემოკრატიის უმთავრესი კომპონენტია. დემოკრატიის ჩამოსაყალიბებლად კი პირველი აუცილებელი პირობა არის ქვეყნის დამოუკიდებლობა და თანამედროვე სახელმწიფოს არსებობა. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ, „დემოკრატია დიდი თავისუფლების შანსსაც გვაძლევს და დიდი პასუხისმგებლობის ტვირთსაც გვარგუნებს” [26;7].

1997 წლის 31 ოქტომბერს მიღებული იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი [27], რომელმაც ბევრი ცვლილება განიცადა, მაგრამ მაინც ბევრ ხარვეზს შეიცავს. სწორედ აღნიშნულ კანონში არსებულ პრობლემებზე გვექნება საუბარი ქვემოთ დასახელებულ თავებში. „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ცვლილებები: შემუშავდა მთავრობის საქმიანობის ერთიანი სტრატეგია, მაქსიმალურად შემცირდა კორუფციული გარიგებების შესაძლებლობები და შესაბამისად, კორუფციული ქმედებები საჯარო სამსახურში, კანონით განისაზღვრა გარკვეული ნორმები - კორუფცია, საჩუქარი, ინტერესთა შეუთავსებლობა; ლიკვიდირებული იქნა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო, რომელიც საქართველოს იუსტიციის



სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა და მისი ფუნქციები შეითავსა საჯარო სამსახურის ბიურომ. 2009 წლის 12 ივნისის ცვლილების მიხედვით შეიქმნა საჯარო სამსახურის ბიურო და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს დამატებითი მნიშვნელოვანი თავი, რომელიც ითვალისწინებს ქცევის წესებს საჯარო მოსამსახურეებისათვის. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციები გაფართოვდა; გაუქმდა საკონკურსო განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენის ვალდებულება და მის ნაცვლად შესაძლებელი გახდა მხოლოდ ელექტრონული განცხადების შევსება; გაუქმდა შრომის წიგნაკების წარმოების ვალდებულება; დაინერგა დეკლარაციის ერთიანი სისტემა, თანამდებობის პირთა დეკლარაციები განთავსდა ვებ-გვერდზე (ამოქმედდა 2010 წლის 1 თებერვლიდან დეკლარაციის ერთიანი ელექტრონული სისტემა), ამით გამარტივდა დეკლარაციის შევსების პროცედურა, აღარ არის საჭირო საჯარო სამსახურის ბიუროს ოფისში მისვლა; 2010 წლის 21 ივლისის ცვლილების თანახმად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გაუქმდა მოხელეთა რეზერვი, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა; შემოღებული იქნა მამხილებელთა დაცვის ინსტიტუტი და სხვა.

როგორც დავინახეთ, ბოლო დროს საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის კუთხით გარკვეული სახის ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა მთავარ ამოცანად რჩება პოლიტიკური გავლენის მოსპობა, პრემირებასთან დაკავშირებული საკითხები. იმისათვის, რომ სახელმწიფომ უპასუხოს დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტს, აუცილებელია კვალიფიციური, პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო დაწესებულებების არსებობა, რომელიც მხოლოდ კანონის აღსრულებით იქნება დაკავებული. იმისათვის, რომ "ხელისუფლების მმართველობა რეალურად ეფექტური იყოს, მას საჯარო მოსამსახურეების "მუდმივმოქმედი არმია" სჭირდება, რომელიც მზად იქნება საკუთარ თავზე ხელმძღვანელობა აიღოს და, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების უნარი ექნება. ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო მოსამსახურეები დემოკრატიისათვის შესაფერისი საუკეთესო გზებით უნდა მოქმედებდნენ" [28;9]. მიმანია, რომ განვითარებული ქვეყნებიდან გარკვეული მოდელების მხოლოდ გადმოტანა არ არის საკმარისი, საჭიროა დიდი დრო დაეთმოს საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების განვითარებას

და საჯარო საზოგადოებისათვის ყურადღების გამახვილებას იმის თაობაზე, რომ მათი საქმიანობა მოსახლეობისათვის საუკეთესო მომსახურების უზრუნველყოფაა. „და, რაც მთავარია, უნდა არსებობდეს აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს თვალყური ადევნონ სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობას, რათა რეალურად განხორციელდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში აღიარებული პრინციპი - ხელისუფლება ხალხისათვის და არა ხალხი ხელისუფლებისათვის.“[29;124-132].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პენდელტონის აქტის შემდეგ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენდა 1978 წლის „საჯარო სამსახურის რეფორმის აქტი“, რომლის მიზანი იყო „ბიუროკრატიულ ლაბირინთად ქცეულ სისტემაში დამსახურების პრინციპის აღდგენა“ [30; 434]. მომხრეთა აზრით, „საჯარო სამსახურის რეფორმის აქტი“ თითქმის უშეცდომო იყო, თუმცა ის ხარვეზები რაც აქტს გააჩნდა გამოწვეული იყო არასაკმარისი დაფინანსებითა და პოლიტიკური ნიშნით დანიშნულ მოხელეთა რაოდენობის გაზრდით, ხოლო მოწინააღმდეგეების აზრით, აქტი თავიდანვე განწირული იყო და ბევრ საკამათო დებულებებს შეიცავდა. თუმცა, ჩემი აზრით, პენდელტონის აქტის შემდეგ „საჯარო სამსახურის რეფორმის აქტი“ პირველი დოკუმენტი გახლდათ, რომელშიც განმტკიცებული იყო დამსახურების სისტემის ძირითადი პრინციპები და მოქნილი მართვის სისტემა.

რა ღირსებები უნდა ჰქონდეს საჯარო მოხელეს? ამის თაობაზე საინტერესოა ჯეიმს სვარას მოსაზრება, რომელიც გვთავაზობს, რომ საზოგადოების ინტერესები პირად ინტერესებზე მაღლა დავაყენოთ, გამოვავლინოთ ორიენტაცია მომსახურებაზე, გვქონდეს ვალდებულების გრძნობა პროცედურული სამართლიანობის მიმართ, ვიმოქმედოთ კანონის შესაბამისად და ა.შ. [30; 208-209]. აღნიშნული საკითხი დღემდე მნიშვნელოვანია, თუმცა ვფიქრობ, სახელმწიფოს განვითარებისათვის უპირველეს ყოვლისა სასარგებლოა დემოკრატიული იდეალებისა და ღირებულებების დაცვა.

ზემოთ დასახელებული სამეცნიერო გამოკვლევებიდან კარგად გამოიკვეთა ის პრობლემები, რაც საჯარო სამსახურის სისტემაში დიდი ხანია არსებობს. თუმცა ამ ცნობილ მეთოდებსაც და დღეს მოქმედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონსაც გააჩნია ნაკლოვანებები.

ეფიქრობ, რომ აღნიშნული ნაშრომების ავტორებს და მკვლევარებს არ შეეძლოთ გადაეწყვიტათ ამ რთული და მრავალასპექტიანი პრობლემების ყველა მხარე და საკითხი, კვლევისათვის საჭირო სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის ან უკმარისობისა და უკანასკნელ პერიოდში ქვეყნის სიტუაციის სწრაფად ცვალებადობის გამო. საერთო ჯამში, ეს მოსაზრებები საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, საჯარო სამსახურის რეგულირების სრულყოფისათვის საჭიროა ახალი მიდგომების და მეთოდების ძებნის გაგრძელება.

### ლიტერატურა:

#### References:

1. "Административное право зарубежных стран". М. 2003г;
2. Bulling M., Hesse J.J. Organisations strukturen fur die Leitung der Verwaltung. Veranderungen der Entscheidungsstrukturen in den offentlichen Verwaltung. nomos Verlagsgesellschaft. 1992 г.
3. Общие сведения об административном праве Франции. М. 1995г;
4. Файоль А "Общее и промышленное управление // Управление – это наука и искусство / М., 1992;
5. Webster's New World College Dictinary. 1999 4 th ed. by Macmillan, USA;
6. Ведель Ж. Административное право Франции. М. 1973г.;
7. Чиркин ВВ "Система государственного и муниципального управления" Москва Юристъ 2005 г;
8. Ioria v., "saqarTvelos administraciuli samarTali", Tb, gamomcemloba "meridiani"., 2005 weli;
9. Korsmit J.C. Velders B. Action Plan for the Development of a Senior Public Service in the Netherlands;Office for the Development of the Senior Public Service,Ministry of the Interior, 15 May 2006;
10. Debbach Ch. Science administrative. Dalloz, 1971;
11. Гарнер Д. Центральное и местное управление М., 1984 г;
12. Vedel G., Delvolvé P. Droit administratif. T. 2. P., 1992;
13. mizesi ludvig fon, "biurokratia", niu heveni ielis universitetis gamomcemloba,1944,bakur sulakauris gamomcemloba, 2014 weli;
14. berZeniSvili a. "politikuri sociologia", meore Sevsebuli gamocema, gamomcemloba "inteleqti", Tb, 2011 weli;
15. sociologiis Sesavali, VII leqcia organizaciebi  
<http://socium.ge/downloads/socshesavali/organizaciebi.pdf>

16. Bossaert, Danielle and Christoph Demmke, "Civil Services in the Accession States: New Trends and the Impact of the Integration Process", EIPA, Maastricht, 2003;
17. Giddens A. "Social theory and modern sociology", Cambridge. Polity Press.1987;
18. inwkirveli g. "saqarTvelos saxelmwifosa da samarTlis safuZvlebi", Tb, nawili I, gamomcemloba "ganaTleba", 1998 weli;
19. zardiaSvili d., svaniSvili a., CitalaZe i., "sajaro samsaxuri", Tb., gamomcemloba "inovacia", 2004 weli;
20. Оболонский А.В. "Государственная служба", (комплексный подход), М, Издательство «Дело» АНХ 2009 г;
21. "saqarTvelos konstitucia", Tb., 21 Tebervali, 1921 weli;
22. "saqarTvelos konstitucia", Tb., 24 agvisto, 1995 weli; (cvlilebebiTa da damatebebiT);
23. Mosher Frederick "Democracy and the Public service", New York, Oxford University Press, Secend edition, 1982;
24. Perry James L. "Democracu and the new Public service", the American review of Public Administration, #1, 3-16 March, 2007;
25. "Good Governance in the Public Sector—Consultation Draft for an International Framework", London, June 2013 , International Federation of Accountants;
26. burousi g. da sxva, "demokratia da moqalaqeoeba", saarCevno sistemebis saerTaSoriso fondis warmomadgenloba saqarTveloSi., Tb, 2011 weli;
27. "sajaro samsaxuris Sesaxeb" saqarTvelos kanoni, Tbilisi., 31 oqtomberi, 1997 weli; (cvlilebebiTa da damatebebiT); [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
28. Hadwen T., Strang D., Marvy L., Eady D., "Ontario Public Service Employment and Labour Law", US., 2005;
29. kakulia n.: "SromiTi eTika sajaro samsaxurSi", Journ: " xelisufleba da sazogadoeba" (istoria, Teoria, praqtika), #3., 2008 weli., tomi II;
30. denharti robert b., denharti jenet v., "sajaro marTva moqmedebis kursi", ilias saxelmwifo universiteti, Tb, 2012 weli.

**Nana Kharadze**

## **THE HISTORY OF THE DEVELOPMENT OF OPINION OF THE PUBLIC SERVICE IN THE DEMOCRATIC COUNTRY**

### **Summary**

Nowadays the importance of Georgian legislation about public service, solving problematic issues is very actual, that's why it is very important to judge about the development of opinion of public service. In this article we

talk where was started and created public service and also how it was developed in democratic countries.

Under whose subordination is administration and whom does it serve? In the following article is given an answer to this question. Also here is discussed important documents as “the ethical codex of public management of American society”, “the act of Pendelton” , the act of the reform of public service” , and the main aim was to eradicate political influence and attract competent servicemen in public institutions.

About Georgian state service institute , there are only very humble information, but from sources it is clear that in Georgia state institute was well developed, and for some organs it was characteristic some peculiarities of rational bureaucracy .

**Keywords:** public service, bureaucracy, democracy, Pendelton act, public servants’ justice

**Reviewer:** Professor Lali Shaishmelashvili, Georgian Technical University

**ნანა ხარაძე**

## **СУТЬ ИСТОРИИ РАЗВИТИЯ ГОСУДАРСТВЕННОЙ СЛУЖБЫ В ДЕМОКРАТИЧЕСКОМ ГОСУДАРСТВЕ**

### **Резюме**

В сегодняшних условиях очень актуальна важность Грузинского законодательства, решение ее проблематичных вопросов, поэтому очень важно рассуждение о развитии сути истории государственной службы. В статье мы говорим где впервые была создана гос. Служба, а также как она развивалась в демократических странах.

Кому подчиняется и служит администрация? На этот вопрос дан ответ в этой статье. Также обсуждены важные документы, например Кодекс этики государственной службы Американского общества, Акт Педельтона, Акт реформы гос. Службы, главная цель истребление политического влияния и привлечение компетентных служащих в гос. Институты.

Что касается Грузинского гос. института, об этом очень мало информации сохранено но из источников ясно видно, что гос. Институт был хорошо развит в Грузии и для некоторых органов были характерно особенности рациональной бюрократии.

**Ключевые слова:** Государственная Служба, бюрократия, демократия, акт Пендельтона. Государственное право

**Рецензент:** Профессор Лали Шаишмелашвили, Грузинский технический университет.

**ჰენრი კუპრაშვილი**  
**პრობლემატი ინფორმაციული უშიშროების**  
**უსაფრთხოებაში**

ინფორმაციული უშიშროების პრობლემისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას განაპირობებს საქართველოს ეროვნულ უშიშროების უზრუნველყოფაში არსებული სერიოზული ხარვეზები. სახელმწიფოებრივი სივრცის ყველა დონეზე უნდა გამოირიცხოს მისი იგნორირება. ამ მხრივ, სამწუხაროდ საქართველოში ყველაფერი ვერ არის რიგზე. უფრო მეტიც, ბოლო ათ წელიწადში მოხდა აღრევა შიარსობრივად სხვადასხვა ტერმინებისა ცი – ტერმინი „უშიშროება“ ხაანაცვლა ტერმინმა „უსაფრთხოებაში“.

ვინაიდან რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი საინფორმაციო ომის წარმოებაში უდიდეს ყურადღებას უთმობს საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ფაქტორს და ძალიან დიდი წარმატებით იყენებს მას საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაზე ზემოქმედებისათვის და ვინაიდან ჩვენ სწორედ პუტინის რუსეთისაგან გვიწევს თავდაცვა, აუცილებელია აქცენტები გადავირდეს ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფაზე და შემუშავდეს ინფორმაციული უშიშროების შესაბამისი სტრატეგია (დოქტრინა, კონცეფცია), სადაც, მათ შორის, ცხადია, როგორც ერთ–ერთი შემავალი კომპონენტი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს საინფორმაციო უსაფრთხოების პრობლემატი.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული უშიშროება, ინფორმაციული უშიშროება, ინფორმაციული უსაფრთხოება

ცნობილია, რომ რაც უფრო მეტი ინფორმაციული შესაძლებლობები აქვს სახელმწიფოს, მით უფრო მეტია სტრატეგიული უპირატესობების მიღწევის ალბათობა, ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა ინფორმაციულ ეპოქაში. არსებული რეალობა მნიშვნელოვან წილად განაპირობებს პრინციპულად სხვაგვარი მიდგომის აუცილებლობას საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემებისადმი, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული სპექტრის შინაარსისა და ევოლუციის ანალიზისადმი, რაშიც განუზომლად დიდი როლი აკისრია ინფორმაციულ ფაქტორს.

ცხადია, სრულყოფილი სახელმწიფოს აშენების პრეტენზიულობიდან და პოლიტიკური მოდერნიზაციის ამოცანებიდან გამომდინარე საქართველოში ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა პრიორიტეტული უნდა გახდეს. სახელმწიფოებრივი სივრცის ყველა დონეზე უნდა გამოირიცხოს მისი იგნორირება. სამწუხაროდ ამ მხრივ საქართველოში ყველაფერი ვერ არის რიგზე. უფრო მეტიც, ბოლო ათ წელიწადში მოხდა აღრევა შინაარსობრივად სხვადასხვა ტერმინებისაც კი – ტერმინი „უშიშროება“ ჩაანაცვლა ტერმინმა „უსაფრთხოება“.

ცნობილია ტერმინ „უშიშროების“ გამოყენების ისტორიული ტრადიცია – ქართული ავტორიტეტული ენათმეცნიერების მიერ დადგენილია შინაარსობრივად მისი ხმარების კონტექსტი [1], მაგრამ „ყოვლისმცოდნის“ იმიჯმორგებულმა მავანი გავლენიანი ადამიანების ვლუნტარისტული თვითნებობის შედეგად, ამ ბოლო პერიოდში, ძირძველი ქართული სიტყვა „უშიშროება“ თვითნებურად ამოცხადდა არასასურველ ტერმინად, პრაქტიკულად ამოაგდეს იგი ხმარებიდან და სანაცვლოდ მასმედიაში დაამკვიდრეს შინაარსობრივად მისგან განსხვავებული ტერმინი „უსაფრთხოება“ [1] ანუ დღეს უკვე ორი სხვადასხვა შინაარსის გამოსახატავად გამოიყენება ერთი ტერმინი. ეს ტენდენცია შეიძლება გასაგები ყოფილიყო ენათმეცნიერებს, ამ დარგის სპეციალისტებს, რომ წამოეწიათ საკითხი, მაგრამ, სამწუხაროდ, არასპეციალისტები და მედროვენი აქტიურობენ და საზოგადოებას ახვევენ თავიანთ სუბიექტურ აზრს, რითაც ირღვევა ავტორიტეტული ენათმეცნიერების მიერ დადგენილი ენობრივი ნორმები და არსებული ისტორიული ტრადიცია. [2].

„უშიშროების“ და „უსაფრთხოების“ ტერმინების შინაარსობრივი სხვაობის თვალსაჩინოებისთვის საკმარისია „ინფორმაციული უშიშროებისა“ – „ინფორმაციული უსაფრთხოების“ შედარებაც.

**ინფორმაციულ უშიშროებაში**, პირველ ყოვლისა, მოიაზრება მტრის მიერ საზოგადოებაზე დესტრუქციული საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების შემცველი საფრთხეები, მუქარები, გამოწვევები, რისკები. აქედან გამომდინარეა, რომ ინფორმაციული უშიშროების მუდმივი ყურადღების ობიექტები უნდა იყოს:

- საზოგადოების საინფორმაციო-ფსიქოლოგიური გარემო (როგორც ინფორმაციული სივრცის ნაწილის);

- საინფორმაციო რესურსები (მათ შორის, კულტურული, ისტორიული, ეროვნული ღირებულებების, ტრადიციების შესახებ);
- საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირების სისტემა (მსოფლმხედველობა, პოლიტიკური შეხედულებები, კულტურული და სულიერი ღირებულებები);
- საზოგადოებრივი აზრის ფორმირების სისტემა;
- პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა;
- ადამიანის ფსიქიკა და ქცევა და სხვა თანამდევი პრობლემები.

შესაბამისად, ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფაში (იხევე როგორც უშიშროების სხვა სფეროებში), ამ თვალსაზრისით, იგულისხმება, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი უწყვეტ რეჟიმში მუდმივი მონიტორინგის, სათანადო ანალიზისა და პროგნოზირების შემდეგ უნდა უმზადებდეს და აწოდებდეს უმაღლეს ხელისუფლებას (ქვეყნის პრეზიდენტს, მთავრობის მეთაურს, პარლამენტის თავმჯდომარეს) მოსალოდნელი საფრთხეების თავიდან აცილებისა და პრობლემის მოგვარების რეკომენდაციების რამდენიმე ვარიანტს, რის საფუძველზეც ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, გაატაროს ისეთ წინმსწრები ღონისძიებები, რაც პოტენციურ მსხვერპლს ანუ ქვეყნის მოსახლეობას თავიდან ააცილებს მოსალოდნელ საშიშროებას ანუ მოცემულ კომპონენტში უზრუნველყოფს ეროვნულ უშიშროებას.

რაც შეეხება „ინფორმაციულ უსაფრთხოებას“, მასში მოიაზრება ინფორმაციული სისტემების, ავტომატიზებული სისტემების, ამ სისტემების რესურსების, მონაცემთა ბაზების და სხვ. დაცვა ანუ საინფორმაციო-ტექნიკური ნაწილის, ადამიანის მიერ ხელფონურად შექმნილი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დაცვა. კიდევ უფრო მარტივად, კომპიუტერში პროგრამების ვირუსებისაგან დაცვა და სხვ. ანუ აქ ეროვნული და საერთაშორისო უშიშროების პრობლემების პოლიტიკურ გადაწყვეტაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ უნდა დავიცვათ ტექნიკური უსაფრთხოების წესები. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ინფორმაციული უსაფრთხოება“ „ინფორმაციული უშიშროების“ შემადგენელია.

აქედან გამომდინარე, ტერმინ „ინფორმაციულ უშიშროებაში“ იგულისხმება ინფორმაციულ სფეროში ქვეყნის ეროვნული ინტერესების (პიროვნების, საზოგადოების,



სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნების, მისწრაფებებისა და მოთხოვნილებების) დაცულობის მდგომარეობა მის ორ შემადგენელ არსებით ნაწილში – საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ უშიშროებასა და საინფორმაციო-ტექნიკურ უსაფრთხოებაში, რასაც განსაზღვრავს ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპებზე აგებული პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესების გაწონასწორებული ერთობლიობა. ანუ ძალიან მარტივად, რომ ითქვას ინფორმაციითა და ინფორმაციული ინფრასტრუქტურით განპირობებული უშიშროების ობიექტზე ზიანის მიყენების შეუძლებლობა.

სამწუხაროდ, მიღებული კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ [3] ცალმხრივია, რეალურად არ ასახავს ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფაში არსებულ პრობლემებს. კანონი ეხება მხოლოდ „კიბერუსაფრთხოების“ განხორციელების სამართლებრივ და ინსტიტუციურ საფუძვლებს, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვას და არა იმ ამოცანებს, რაც დღეს დგას საქართველოს ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფის თვალსაზრისით ანუ კანონი ეხება ინფორმაციული უშიშროების მხოლოდ ერთ კომპონენტს.

ამ ნაწილში იგრძნობა გარკვეულად ამერიკული დოკუმენტების გაუაზრებელი გავლენა. არაა გათვალისწინებული ის, რომ ამერიკელებმა ეტაპობრივად გაიარეს გრძელი გზა და თვისობრივად და ხარისხობრივად ახლა ისინი განვითარების სულ სხვა, მაღალ საფეხურზე იმყოფებიან,<sup>1</sup> შესაბამისად, მათ წინაშე მდგარი მიზნები და

---

<sup>1</sup> **რონალდ რეიგანის** (1911–2004) ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (აშშ-ის პრეზიდენტი 1981–1989 წლებში) პრინციპულად ახლებური დატვირთვა შეიძინა ინფორმაციულმა ზემოქმედებამ, მკვეთრად გაიზარდა ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების, ფსიქოლოგიური ოპერაციების როლი აშშ-ის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის სისტემაში. რეიგანმა თეთრ სახლში მოსვლისთანავე წამოაყენა ეროვნული უშიშროების თავისი სტრატეგია, რომელიც დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო და ინფორმაციული კომპონენტებისაგან შედგებოდა. 1983 წლის იანვარში მან ხელი მოაწერა №77 დირექტივას „ეროვნული უშიშროების მიზნებთან

ამოცანები შინაარსობრივად, ხარისხობრივად და ტექნოლოგიურად სრულიად განსხვავდება საქართველოსაგან, რომელიც რუსეთის აგრესიული მისწრაფებების სამიზნეა და მოითხოვს ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად, სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი კონტრზომების გატარებას.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები წამყვანი სახელმწიფოა, დომინირებს მსოფლიოს საინფორმაციო სივრცეში, მაგრამ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საინ-ფორმაციო ომში რუსეთის მიერ გამოყენებული ინფორმაციული იარაღი და ბრძოლის მეთოდები პირდაპირ ქართულ სპეციფიკაზეა მორგებული. საქართველოში რუსეთის ბატონობისა და რუსული სპეცსამსახურების საქმიანობის ორასწლოვანი გამოცდილების შედეგად, დღეს მსოფლიოში რუსებზე უკეთ, მეცნიერულად, ზედმიწევნით, ნიუანსურადაც კი, არავინაა მცოდნე ქართველების ფსიქიკის, ქცევის, ტრადიციების, კულტურული და სულიერი ღირებულებებისა ანუ რუსეთს ძალზე ეფექტურად შეუძლია გამოიყენოს ინფორმაციული იარაღით ზიანის მიყენების მთავარი ფაქტორი - ცნობიერებით მანიპულაცია ანუ საქართველოს მოსახლეობის ინდივიდუალურ, ჯგუფურ და მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით შიდაწილის სასურველ შედეგს (და თუ როგორ წარმატებებს აღწევენ კარგად გამოჩნდა ქართველების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის ორივე მცდელობის დროს, როგორც 1918–1921 წლებში, ისე ჩვენი ისტორიის ბოლო წლების განმავლობაში).

ასეთ ვითარებაში, რუსეთისგან თავდასაცავად, ჩვენთვის კიბერუსაფრთხოება კი, ნამდვილად მნიშვნელოვანია და აუცილებლად მოითხოვს ჩვენ აქტიურობას,<sup>2</sup> მაგრამ

---

დაკავშირებული საზოგადოებრივი დიპლომატიის სახელმძღვანელო“. იმ პერიოდში უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით დაიწყო გლობალური ომების ერა მთელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების საქმიანობის კოორდინაციის საფუძველზე, ადამიანების (ერების) საზოგადოებრივი შეგნების სასურველი გზით წარმართვისათვის.

<sup>2</sup> ავტორმა ამ პრობლემის შესახებ ჯერ კიდევ 2002 წელს გააკეთა მოხსენება ჯორჯ მარშალის უშიშროებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ევროპული

ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს მტრის მიერ ჩვენს წინააღმდეგ გამოყენებული, ქართულ სპეციფიკაზე ვირტუოზულად მორგებული, არანაკლებ მნიშვნელოვანი, უმნიშვნელოვანესიც კი – უკანონო საინფორმაციო-ფსიქოლოგიური იარაღის ფაქტორი, რაც სერიოზულ საშიშროებაა ჩვენი ეროვნული ინტერესების, პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის, საერთოდ, ინდივიდუალური, ჯგუფური და საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის, მათ შორის, პიროვნებისა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებებისათვის სულიერი ცხოვრებისა და ინფორმაციული საქმიანობის სფეროში და სხვ.

მცირე ანალიზიც საკმარისია იმის გასარკვევად, რომ "ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" კანონით გათვალისწინებული უარყოფითი შედეგები და მტრის მიერ ქვეყნისთვის მიყენებული პირდაპირი ზარალი (მაგალითად, ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფიზიკური დაზიანების გამოსწორება და ინფორმაციული რესურსების აღდგენა) მაინც კიდევ შედარებით იოლი შესაფასებელი და მოსაგვარებელია.

მაგრამ, ამ დროს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაცილებით ძნელი შესაფასებელია კრემლის მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებულ საინფორმაციო-ფსიქოლოგიურომში წაგების შედეგად მიღებული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ზარალი, აუნაზღაურებელი კოლოსალური დანაკარგებით, ერთი რამ ფაქტია, საქართველოს ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკაში დილემანტების მიერ გაკეთებული არასწორი აქცენტების გამო საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილია მოქცეული ჩვენს წინააღმდეგ გამოყენებული რუსეთის ამ მთავარი იარაღის მოქმედების არეალში. ამის ცოდნას და გააზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ინფორმაციული უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

---

ცენტრის კონფერენციაზე „კიბერ განზომილება, როგორც ეროვნული უშიშროებისათვის მუქარების ჩანასახი.“ მიუხეხნი, გერმანია. 2002 წლის 02-05 დეკემბერი. [www.marshallcenter.org/](http://www.marshallcenter.org/)

Несомненно, конкурентоспособность как характеристика организации более актуальна для частного сектора, но ее (пусть даже в чем-то и гипотетическое) определение помогает в выявление проблем недостаточного качества деятельности и органов власти.

Использование подходов организационного проектирования. Цель организационного проектирования – связать элементы организации (общую структуру, систему управления трудовыми ресурсами, систему принятия решений, информационную систему, организационные ценности и др.) с элементами ее деятельности (направленностью деятельности, функциями организации, производимыми услугами или продукцией и т.п.), а также с элементами внешней среды, которые оказывают влияние на деятельность организации (рынок услуг, потребители и т.п.) [3].

Если проанализировать какую-либо организацию, которая создавалась без учета связи указанных элементов, можно заметить, что зачастую на ее формирование оказывают влияние такие факторы как политическая конъюнктура, неформальные соглашения, бюджетная политика и другие, отражающие сиюминутные тенденции и не являющиеся частью единой системы, и которые в дальнейшем могут не только негативно влиять на эффективность организации, но и создавать препятствия на пути ее (эффективности) повышения.

Использование подходов организационного проектирования позволяет выявить такие препятствия через анализ основных элементов, используемых в проектировании [2]. Вот примеры вопросов, которые позволяют оценить эти основные элементы:

1. Стратегия. Существует ли четкая стратегия, определяющая направления деятельности и процесс развития организации? Знакомы ли со стратегией сотрудники организации, понимают ли и поддерживают ли они ее?

2. Внешняя среда. Какие элементы внешней среды оказывают влияние на деятельность организации? Является ли организация достаточно гибкой, чтобы своевременно реагировать на изменения во внешней среде?

3. Сотрудники. Имеют ли сотрудники профессиональные знания, умения, навыки и личностные качества, необходимые для качественного выполнения своих обязанностей? Учитываются ли в организации при распределении различных видов работ склонности и пожелания сотрудников?

4. Структура. Организована ли структура вокруг задач? Обеспечивают ли существующие в организации структурные подразделения выполнение всех задач, стоящих перед организацией? Учтены ли в структуре потребности элементов внешней среды по отношению к организации? Обеспечивает ли структура необходимый уровень координации и необходимое качество информационных потоков?

5. Система принятия решений. Обеспечивается ли система принятия решений полной и своевременной информацией? Принимаются ли решения в организации именно там, где они наиболее обеспечены необходимой информацией?

6. Организационные ценности и нормы. Какие ценности и нормы поведения преобладают в организации и насколько они соответствуют декларируемым?

Для получения ответов на поставленные выше вопросы можно, в принципе, использовать любые методы сбора данных или их

комбинацию.

Таким образом, мы рассмотрели различные виды организационных оценок, основные методы их осуществления. Результаты оценок дают важную и необходимую информацию для повышения качества деятельности организации и его поддержания на высоком уровне.

## ლიტერატურა

### References:

1. Bouckaert, G. Halachmi A. (eds.). The Enduring Challenges in Public Management. – San Francisco: Jossey-Bass, 2005. – 497 p.
2. Czarnecki M.T. Managing by Measuring – How to Improve Your Organisation's Performance Through Effective Benchmarking. – New York: American Management Association, 2009. – 199 p.
3. Farnham D. Managing the New Public Services (third ed.). – London: Macmillan, 2006. – 432 p.
4. Hadley R., Young, K. Creating a Responsive Public Service. – Hemel Hempstead: Harvester-Wheatsheaf, 2000. – 369 p.

**Рецензент:** профессор Вячеслав Дзюндзюк, доктор наук по государственному управлению, заведующий кафедрой политологии и философии Харьковского регионального института государственного управления Национальной академии государственного управления при Президенте Украины.

## სერგეი მარეხინი

ორგანიზაციული შეფასება, როგორც ხარისხის მართვის ინსტრუმენტი ხელისუფლების ორგანიზაციებში

### რეზიუმე

სტატიაში მოყვანილია ორგანიზაციული შეფასების ანალიზი, როგორც ხარისხის მართვის ინსტრუმენტი ხელისუფლების ორგანიზაციებში. დაწვრილებით განხილულია ორგანიზაციული შეფასების სხვადასხვა სახეობები და საჯარო სექტორში მისი განხორციელების ძირითადი მეთოდები.

**საკვანძო სიტყვები:** ორგანიზაციული შეფასება, ხელისუფლების ორგანიზაციები, ხარისხის მართვა, საჯარო სექტორი.

**რეცენზენტი:** პროფესორი ვიჩესლავ ძიუნძიუკი, სახელმწიფო მართვის მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემიის ხარკოვის რეგიონალური ინსტიტუტის პოლიტოლოგიისა და ფილოსოფიის კათედრის გამგე.

**Sergey Marehin**

## **ORGANIZATIONAL EVALUATION AS INSTRUMENT OF QUALITY MANAGEMENT IN AUTHORITY BODIES**

### **Summary**

The article analyzes the organizational evaluation in authority bodies as an instrument of quality management. It was reviewed different kinds of organizational evaluation and main methods of its realization in public sector.

**Keywords:** organizational evaluation, authority bodies, quality management, public sector.

**Reviewer:** Professor Viacheslav Dziundziuk, doctor of sciences, Head of Political Science and Philosophy Chair of Kharkiv Regional Institute of Public Administration of National Academy of Public Administration attached to the Office of the President of Ukraine.

## თენგიზ თოფურბე დროის მართვა

დრონი მეფობენ და არა მეფენი.

ქართული ანდაზა

რიტმს, რომელშიც უმეტეს ჩვენგანს უწევს ცხოვრება, ნამდვილად ვერ დაარქმევ მშვიდსა და თანაბარზომიერს. ჩვენთვის დროის უკმარისობა ის გამოცდაა, რომელსაც ყველა ვერ უმკლავდება. ჩვენი საქმიანობის ეფექტიანობის ახამაღლებლად აუცილებელია შესაბამისი ტექნოლოგიების, მათ შორის, დროის აღრიცხვის აპრობირებული მეთოდების შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა. დროის მართვის ელემენტარული საფუძვლების ცოდნა, კონტროლი იმაზე, რას და როდის ვაკეთებთ, დაგვეხმარება ვაგზარდოთ პირადი თუ ორგანიზაციული ეფექტიანობა. ჩნდება კითხვები: რამდენად ეფექტიანად ვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ დროს? რას, რატომ და როგორ ვაკეთებთ? ჩვენ უნდა ვაკეთებდეთ ამას თუ სხვა? როგორ და რა სახის ინფორმაციაზე დაყრდნობით ვიღებთ გადაწყვეტილებას? რაზე რა დრო გვაქვს დახარჯული და როგორია შედეგი, აღეკვატურია თუ არა უკუგება? წინამდებარე სტატიაში გარკვეულწილად, წარმოდგენილია დროის ორგანიზების ხერხები და მეთოდები, მენეჯერისა თუ მმართველის (ზოგადად, ხელმძღვანელის) მუშაობის ინდივიდუალური სტილის ანალიზი და სხვ.

**საკვანძო სიტყვები:** კორპორაციული სტრატეგია, დროის მართვა, აღრიცხვა, ეფექტიანობა, თვითმენეჯმენტი.

თითოეულ ჩვენგანს არც ისე დიდი, მაგრამ ძვირფასი კაპიტალი გააჩნია – დრო, პირადი დრო. დრო და სიცოცხლე ლამის სინონიმებია. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში მილიონრები არ არსებობენ. თუ ოპტიმისტურად შევხედავთ და იმედს ვიქონიებთ, რომ, ამიერიდან, აქტიური ცხოვრების, დაახლოებით, 50 წელი გვაქვს დარჩენილი, ეს იმას ნიშნავს, ჩვენი დროის კაპიტალი, მაქსიმუმ, 440 ათას საათს შეადგენს. მათ შორის, დაახლოებით 150 ათასი საათი ანუ 17 წელიწადი ძილში გასატარებელი დროა. თუ დავუშვებთ, რომ მარტო კვებაზე და სააბაზანო პროცედურებზე დღეში, საშუალოდ, 2 საათი მაინც გვეხარჯება, გამოდის, რომ ამ საქმიანობას ჩვენი პირობითად დარჩენილი სიცოცხლის 50 წლიდან, დაახლოებით, 4 წელი მოხმარდება; აღარაფერს



ვამბობთ სხვა არაინტელექტუალურ, მაგრამ აუცილებელ ყოფით საქმიანობაზე.

ფულადი კაპიტალისგან განსხვავებით, დროის კაპიტალის აღდგენა შეუძლებელია. ამ უკანასკნელს ვერსად, ვერასდროს, ვერანაირი ოპერაციის თუ მაქინაციის შედეგად ვერ მოიპოვებ; ვერ შეინახავ, ვერ დააგროვებ, ვერ გაამრავლებ, ვერ გაასხვისებ ერთადერთი, რაც ძალგვიძს, ჩვენს ხელთ არსებული უძვირფასესი რესურსის რაციონალური გამოყენებაა. მრავალი დაკვირვებით და გამოკვლევით დადასტურებულია, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი თავიანთი სამუშაო დროის საგრძნობ ნაწილს ან არაეფექტიანად იყენებენ, ან საერთოდ კარგავენ; ეს, უპირველესად, შრომის ცუდი ორგანიზაციის, თვითმენეჯმენტის ელემენტარული პრინციპების არცოდნის, უპასუხისმგებლობისა და უდისციპლინობის ბრალია.

ელემენტარული არითმეტიკაა – თუ ერთი მოხელის სამუშაო დროის დაკარგული 10 პროცენტი კვირაში, საშუალოდ, 4 საათს, წელიწადში (11 თვეში, დაახლოებით, 48 კვირაში) – 192 საათს, ანუ 24 სრულ სამუშაო დღეს შეადგენს, აღნიშნული ციფრი საქართველოს საჯარო სამსახურში დასაქმებულ საშუალოდ, 40 ათასამდე მუშაკზე გადაანგარიშებით კატასტროფულ მანევრებელს – 1 მლნ. კაცდღეს აღწევს. ეს იმის ტოლფასია, 5 ათასამდე მოხელე, წლის განმავლობაში, არაფერს აკეთებდეს. აღნიშნული მაგალითი ხაზს უსვამს დროის რაციონალური გამოყენების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ჩნდება კითხვები: რამდენად ეფექტიანად იყენებთ თქვენს ხელთ არსებულ დროს? რას, რატომ და როგორ აკეთებთ? თქვენ უნდა აკეთებდეთ ამას თუ სხვა? როგორ და რა სახის ინფორმაციაზე დაყრდნობით იღებთ გადაწყვეტილებას? რაზე რა დრო გაქვთ დახარჯული და როგორია შედეგი, ადეკვატურია თუ არა უკუგება? სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ადამიანთა უმრავლესობა არაეფექტიანად განკარგავს ყველაზე ძვირფას, აუნახლადურებელ და, შეიძლება ითქვას, მოკრძალებულ კაპიტალს – საკუთარ დროს.

ქართველები ღრმა შემოქმედებითი აზროვნების უნარით დაჯილდოებული ხალხი ვართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად გვექმნება პრობლემები დროის სწორად ორგანიზების კუთხით. გამორიცხული არაა, ეს, გარკვეულწილად, ქართველის ფსიქოლოგიური ტიპის „დამსახურება“ იყოს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: დროის მართვის რაციონალიზებისთვის აუცილებელია

რაც შეიძლება სწრაფად შეცვალოთ მუშაობის მეთოდები და გამოთავისუფლებული რესურსი გაცილებით ეფექტიანად გამოვიყენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცაიტნოტში აღმოვჩნდებით. დროის ქრონიკული უკმარისობის მიზეზით ჩვეენს გვემებს საფრთხე დაემუქრება.

დროის მართვის ელემენტარული საფუძვლების ცოდნა, კონტროლი იმაზე, რას და როდის ვაკეთებთ, დაგვეხმარება გავზარდოთ ჩვენი საქმიანობის ეფექტიანობა. კონტროლი არ ნიშნავს ცხოვრების მკაცრ რეჟიმს, რომლის მიხედვით, თვით ყველაზე უმნიშვნელო გადახვევაც კი, დაუშვებელია. ორგანიზაციებში, როგორც წესი, არ გამოიყენებენ ეფექტიანობის ზრდის ისეთ საშუალებებს, როგორცაა ყოველდღიური საქმიანობის მენეჯმენტის მოწესრიგება, კორპორაციული სტრატეგიის შემუშავება და ა.შ. იქნება შთაბეჭდილება, თითქოს დროის მართვის აპრობირებული მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა ბოლო მომენტში, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, როდესაც ეფექტიანობის სხვა რეზერვები ამოიწურა. სინამდვილეში, დროის რაციონალური გამოყენების ეფექტი მრავალმხრივია და, ხშირად, სწორედ ეს უკანასკნელი ხდება ორგანიზაციული გარდაქმნის ოპტიმალური ინსტრუმენტი.

ჩვენი საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია შესაბამისი ტექნოლოგიების, მათ შორის, დროის აღრიცხვის აპრობირებული მეთოდების შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა. ეს უკანასკნელი დიდ დახმარებას გაგვიწევს პირადი დროის „მტაცებელთა“ ლიკვიდაცია ოპერატიულად, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე მოვახდინოთ.

### **სამუშაო დროის ორგანიზების კულტურა**

აღამიანთა უმრავლესობას, რომლებიც „ყელამდე საქმეში არიან ჩაფლულნი“, მუდმივად აწუხებთ დროის პრობლემა. ისინი ვერ ხედავენ გამოსავალს კონკრეტული სიტუაციებიდან და ფიქრობენ, რომ არაფრის შეცვლა არ შეიძლება. თუმცა, ფსიქოლოგებს და მენეჯმენტის სპეციალისტებს განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ და არც თუ უსაფუძვლოდ!

ყველასთვის ცნობილია, რომ მწვრთნელები, რომლებიც სპრინტერებთან და მოცურავეებთან მუშაობენ, ყოველნაირად ცდილობენ მიაღწიონ სპორტსმენის თითოეული მოძრაობის

ოპტიმიზებას, ვინაიდან, გამარჯვებისთვის წამის მესხედიც გადამწვევტია.

დაფიქრებულვართ იმაზე, რამდენად ეფექტიანად იყენებთ სამუშაო დროს?! ხომ არ ვუთმობთ ჩვენი კუთვნილი დროის დიდ ნაწილს უცხო ან ნაკლებად მნიშვნელოვან ადამიანებს, უშედეგო საქმიანობას?! იქნებ არც ის ვიცით როგორი ტიპის ადამიანთა ჯგუფს განეკუთვნებით?!

ვებებით რა ე.წ. „დროის მახეში“, ჩვენ ყოველდღიურად ვიმეორებთ ერთსა და იგივე შეცდომებს: ბევრს ვლაპარაკობთ ტელეფონზე, მიზეზთა გამო, ცვკვლით შესასრულებელი სამუშაოების თანმიმდევრობას, რის შედეგადაც მთავარს და მეორეხარისხოვანს ერთმანეთში ვურევთ; გვიჭირს ყოველდღიური ფოსტის, საქმიანი კორესპონდენციის გარჩევა; გვავიწყდება მნიშვნელოვანი ზარების განხორციელება და ა.შ. ყველაფერ ამას უაზრო ქაღალდომანია და დროში უსასრულოდ გაწელილი თათბირებიც ემატება.

ზოგიერთი თქვენგანი, შესაძლოა, არ დაეთანხმოს დროის მართვის მეთოდების წარმატებული დანერგვის იდეას და საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას: „საქართველოში დროის ორგანიზაციის იდეა ჩვევად ვერასდროს იქცევა. წარმოდგენაც მიჭირს, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს ქართველი, რომელიც წუთობით აფიქსირებს დროს და დღის მოვლენათა ჩანაწერებს სპეციალურ რეველში აკეთებს; პუნქტუალური გერმანელის შემთხვევაში ნამდვილად დავიჯერებდი!“ ეს აზრი, რა თქმა უნდა, საფუძველს მოკლებული არ არის. მაგრამ, მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სპორტსმენები, რომლებიც თავიანთი ხასიათით აზარტულები არიან და, რაც მთავარია, არც ერთი მათგანი არ დაბადებულა ჩემპიონად; არც წარმატებისთვის მიუღწევიათ დიდი ძაღისხმევის გარეშე. მთავარია, გეჰქონდეს სურვილი, გამოვიჩინოთ მონდომება, მოვიპოვოთ ინფორმაცია ან ვიპოვოთ კომპეტენტური მრჩეველი, რომელიც დროულ და ზუსტ რეკომენდაციებს მოგვაწვდის.

უნდა აღინიშნოს, რომ დროის ორგანიზების ხერხებისა და მეთოდების ძიება მენეჯერისა თუ მმართველის (ზოგადად, ხელმძღვანელის) მუშაობის ინდივიდუალური სტილის ღრმა ანალიზთან არის დაკავშირებული. მთავარია, განსაზღვროთ ისეთი პარამეტრები, როგორიცაა თანამშრომელთა ტემპერამენტი, სენსორული უპირატესობები, მიზნების პრიორიტეტულობა და სხვ. ეს საშუალებას მოგვცემს, სამუშაო დროის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების მიზნით,

კონკრეტული ადამიანისთვის იოლად შეარჩიოთ ინდივიდუალური, ოპტიმალური სტილი. აქ არ შეიძლება არსებობდეს სტერეოტიპები.

ადამიანი, რომელიც დაძაბულ ინტელექტუალურ შრომას ეწევა, მუშაობის პროცესს, როგორც წესი, სამ ძირითად ნაწილად ჰყოფს. ესენია:

- ახალი ინფორმაციის დაგროვება და დამუშავება;
- ინფორმაციის გაცემა და განაწილება;
- დასვენება და რელაქსაცია.

თითოეული ნაწილი პიროვნების ჰარმონიული განვითარების განუყოფელი ნაწილია. მათ შორის არსებული პროპორციების დარღვევას ან ერთ-ერთი მათგანის იგნორირებას, საბოლოოდ, მუშაობის უნარის დაქვეითებამდე მიყვავართ, რაც უარყოფითად აისახება შრომის ეფექტიანობაზე.

სამუშაო პროცესის უკეთ გაკონტროლების მიზნით, აუცილებელია, ჩავატაროთ დროის ძირითადი „შთანთქმელების“ დეტალური ანალიზი. ანუ, თუ თქვენთვის ცნობილი გახდება დროის ძირითადი „მტაცებლების“ შესახებ, ბუნებრივია, თავს აარიდებთ მათ.

დიდ სირთულეს არ წარმოადგენს გაარკვიოთ, სად და როგორ იკარგება თქვენი პირადი დროის უზარმაზარი რესურსი. გთავაზობთ, დროის „მტაცებელთა“ არასრულ ჩამონათვალს:

- სატელეფონო ზარები;
- ვიზიტორები;
- განყოფილებებს შორის ინფორმაციის გაცვლის ცუდი ორგანიზება;
- კომპიუტერულ ტექნიკასთან, მოწყობილობებთან, ენერგეტიკასთან დაკავშირებული პრობლემები;
- სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობის შეცვლა (რაც თავს მოგახვიეს კოლეგებმა);
- არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციული დაგეგმვა;
- ადამიანების მოსმენის კულტურის არქონა და იგნორირება;
- არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციული სტრუქტურა;
- ქაოსი განსახილველ კორესპონდენციებში (ფოსტაში);
- შეცდომების გამოსწორება, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იყო;

- მერყეობა საქმიან საკითხებთან დაკავშირებით (გადაუწყვეტელობა);
- არასწორად ორგანიზებული და ცუდად კოორდინირებული სამუშაო შეხვედრები, კრებები, თათბირები;
- ყურადღების გამფანტველი ფაქტორების არსებობა სამუშაო გარემოში;
- გადამეტებული საოფისე ბიუროკრატია;
- უსარგებლო დისკუსიები საკუთარი და სხვისი მუშაობის შესახებ და სხვ.

იმისათვის, რომ უკეთ გაერკვეთ დროის მართვის მნიშვნელობისა და მისი რაციონალიზაციის საკითხებში, აღნიშნულ ჩამონათვალთან ერთად, წარმოგიდგენთ ეიზენჰაუერის დროის მართვის მატრიცას (იხ.ცხრ.1).

ორიენტირებულნი, ისინი ორიენტირებულნი არიან შესაძლებლობებზე, მათგან გამოდიან და თავიდან იცილებენ პრობლემებს; ისინი პროფილაქტიკურად, პრობლემების თავიდან აცილების მიდგომით ფიქრობენ და მოქმედებენ; ასე რომ, უნდა ვიმუშაოთ მეორე კვადრატში, რადგან პირველი და მესამე კვადრატები “ჩვენზე მუშაობენ”, „გვწნეხენ“; უნდა დავეთანხმოთ მეორე კვადრატის პრიორიტეტებს და ვისწავლოთ ვთქვათ “არა” სხვა საქმიანობებზე, ზოგჯერ და ნაწილობრივ – სასწრაფო საქმეებზეც კი და მაშინაც, როცა სხვა აღამიანები და გარემოებები ჩვენი დროის ხელყოფას ცდილობენ. ეს შესანიშნავად მოახერხა იაკობ გოგებაშვილის დედაენაში (“ჯერ შრომა, მერე ხტომა”) გიგლა ტიტინამ, რომელმაც ბევრ ცდუნებაზე თქვა უარი, სანამ გაკვეთილები არ ისწავლა.

რაც უფრო მაღალია მართვის საფეხური, მით ფართო უნდა იყოს ხელმძღვანელის თვალსაწიერი. ის შორს უნდა იყურებოდეს და მნიშვნელოვან სამომავლო, პერსპექტიულ პრობლემებზე დღესვე ფიქრობდეს. როგორც დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, მიზანმიმართულად მომუშავე მინისტრის თუ კომპანიის პრეზიდენტის და მისი აპარატის დროის ბიუჯეტის დაახლოებით 75-80 პროცენტი 1-5 წლიანი პერიოდის პრობლემებზე მუშაობას უნდა ხმარებოდეს, იხ. როგორც რიგითი მოხელეებისა და დამხმარე მომუშავეთა სამუშაო დროის ბიუჯეტის დიდი ნაწილი – ერთ თვემდე, ე.ი. ოპერატიულ საკითხთა გადაწყვეტას.

სასწრაფო	არასასწრაფო
<b>მნიშვნელოვანი</b>	
<p><b>1. მოქმედებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კრიზისული მოქმედებები;</li> <li>• პრობლემები, რომლებიც „გვწნეხენ“</li> <li>• საქმეები, რომელთა შესრულებასაც ვადა გასდის.</li> </ul>	<p><b>2. მოქმედებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• რაღაცის თავიდან აცილება, გაფრთხილება, წინასწარი ზომების მიღება;</li> <li>• ურთიერთობების აგება ადამიანებთან;</li> <li>• ახალი ამოცანების, უნარ-შესაძლებლობების ამოცნობა;</li> <li>• დაგეგმვა, შემოქმედებითი მუშაობა.</li> </ul>
<b>არამნიშვნელოვანი</b>	
<p><b>3. მოქმედებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შეგვაწყვეტინეს, დარეკეს;</li> <li>• ზოგიერთი წერილი, ანგარიში;</li> <li>• ზოგიერთი შეხვედრა;</li> <li>• ზოგიერთი პრობლემა, რომელიც „გვახრჩობს“</li> <li>• ზოგიერთი პოპულარული, ყოველდღიური მოქმედება.</li> </ul>	<p><b>4. მოქმედებები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ყოველდღიური მონოტონური სამუშაო;</li> <li>• ზოგიერთი წერილი;</li> <li>• ზოგიერთი სატელეფონო ზარი;</li> <li>• დროის გამფლანგველი მოქმედება;</li> <li>• ზოგიერთი სასიამოვნო მოქმედება.</li> </ul>

ცხრილი 1. ეიზენჰაუერის დროის მართვის მატრიცა ეფექტიანად მოქმედი მუშაკები პრობლემებზე არ არიან

ხელმძღვანელთა მუშაობის ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისას დროში წინსწრება. არანორმალურია, როცა გუშინდელ საქმეს დღეს ვაკეთებთ. ნორმალურია, როცა დღეს დღევანდელი საქმე კეთდება. სამწუხაროდ, ძალზე ბევრ ორგანიზაციაში მართვის მაღალ საფეხურზე მდგარი ხელმძღვანელი ბევრ დროს ხარჯავს ოპერატიული პრობლემების გადაწყვეტაზე. ის, რაც კარგახნით ადრე უნდა გაგვეკეთებინა, იმის გამო, რომ არ

გავაკეთეთ, ოპერატიული გადასაწყვეტი გახდა; დღეს კი, როცა დიდ დროს ვანდომებთ ამ ოპერატიულ ამოცანათა გადაწყვეტას და არ ვფიქრობთ პერსპექტიულ პრობლემებზე, დრო რომ მოვა, ისინიც ოპერატიულად გადასაწყვეტი გახდება. ასე იკვრება შრომის ცუდი ორგანიზების გამო ნაკლოვანებათა წრე, თანდათან ჩვევად იქცევა მუშაობის მანკიერი სტილი. საქართველოს საჯარო დაწესებულებებში, მართვის უმაღლეს საფეხურებზეც კი, სამწუხაროდ, სამუშაო დროის უდიდესი ნაწილი ოპერატიულ საკითხებზე იხარჯება.

ხელმძღვანელმა, რასაკვირველია, უნდა იცოდეს დაქვემდებარებულ საფეხურებზე ყველა უწესრიგობების შესახებ, მაგრამ მისი ჩარევა აუცილებელია მხოლოდ მაშინ, როცა დარღვევები და ნაკლოვანებები სისტემად იქცევა და ქვემდგომ რგოლებს არ ძალუძთ მათი აღმოფხვრა. ასეთ შემთხვევაშიც კი, ზემდგომმა რგოლმა არ უნდა შეწყვიტოს პერსპექტიულ მიმართულებებზე მუშაობა. მოკლედ რომ ვთქვათ, მინისტრი იგივე მეთოდებით არ უნდა მუშაობდეს, როგორი მეთოდებითაც მუშაობს სამინისტროს რიგითი მოხელე. აღნიშნული კანონზომიერება, ვიზუალურად, შესაძლოა, პირამიდის სახით წარმოვიდგინოთ. კერძოდ, პირამიდის წვერისკენ მცირდება სამმართველო აპარატის მუშაოთა რიცხვი, მაგრამ, ამავედროულად, იზრდება ინფორმაციის მნიშვნელობა; როცა პირამიდის წვერიდან ფუძისკენ მოვდივართ, იზრდება კონკრეტული და ოპერატიული დავალებების რაოდენობა და მცირდება პერსპექტიულ საკითხებსა და პრობლემებზე მუშაობა. მართვის ზედა რგოლებს არ ძალუძთ მოიცვან ყველაფერი, რაც ქვედა რგოლებში ხდება; ისინი იძულებულნი არიან საკმაოდ ბევრი საკითხი შეგნებულად გამოტოვონ, რათა ხელიდან არ გაუშვან მთავარი.

გადავცემთ რა ინფორმაციას, დარწმუნებულნი ვართ, რომ მისი მიმღები სრულად აღიქვამს და ითავისებს ინფორმაციის აზრს. თუმცა, ყოველთვის ასე არ ხდება. თითოეულ ადამიანს გააჩნია აღქმისა და გაგების საკუთარი ჩარჩოები, რომელთაც შეუძლიათ დაამახინჯონ, ან, უბრალოდ, შეცვალონ მიღებული ინფორმაცია. ბევრ ორგანიზაციაში განყოფილებებს შორის ინფორმაციის გაცვლა „გაფუჭებული ტელეფონის“ პრინციპით წარმოებს. ხოლო როდესაც სამუშაოს შესრულების ვადები იწურება, სინქარეში რაღაც აუცილებლად ავიწყდებათ ხოლმე.

მთავარია, მხედველობიდან არ გამოგვრჩეს საკითხის ძირითადი არსი.

ბევრი მმართველი თუ მენეჯერი, რომელსაც საკუთარ თავს გამოცდილ და შრომისუნარიან მუშაკად მიიჩნევს, ამჯობინებს თავად შეასრულოს სამუშაო, რომელსაც თანამშრომლებიც იოლად გაართმევდნენ თავს. მას მიაჩნია, რომ ეს გაცილებით სწრაფი პროცესია და თან, მიზეზად სხვების გამოუცდელობას და არაკომპეტენტურობას ასახელებს (სინამდვილეში, მენეჯერს თავად არ გააჩნია ძალაუფლების დელეგირების სათანადო გამოცდილება და არ ძალუძს პერსონალს აუცილებელი ფუნქციები აათვისებინოს. ეს კი, ნამდვილად არ მეტყველებს მის პროფესიულ ღირსებებზე).

თუკი სამუშაოს დამოუკიდებლად შეასრულებ და არ მისცემ თანამშრომელს შანსს - ისწავლოს, რა თქმა უნდა, დროის დაზოგვა შესაძლებელია. ეს ერთხელ დასაშვებია, მაგრამ მეორედ, მესამედ, მეოთხედ თქვენ მიხვდებით, რომ გაუმართლებლად ხარჯავთ საკუთარ დროს. სჯობს, კარგად ასწავლეთ თქვენს დაქვემდებარებულებს რა და როგორ გააკეთონ, რათა თქვენ გათავისუფლდეთ ამ სამუშაოების შესრულებისგან. საბოლოო ჯამში, ძალიან ბევრ დროს დაზოგავთ და მხოლოდ იმ ყველაზე მნიშვნელოვან, პრიორიტეტულ საკითხებზე მოახდენთ კონცენტრირებას, რომელთა გადაწყვეტაც თქვენს დაქვემდებარებულთ არ ხელეწიფებათ.

ძალიან მნიშვნელოვანია გაანაწილოთ პასუხისმგებლობა თქვენი გუნდის წევრებს შორის და მოსთხოვთ მათ ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ. წვრილმანებში ნუ ჩაერევით! მსგავსი მიდგომა ფართო შესაძლებლობებს აძლევს ხელქვეითებს გადაწყვეტილებების მისაღებად. შეფასება „მეტისმეტად დაკავებულია, მისთვის დასვენება არ არსებობს“ – არ წარმოადგენს პიროვნების შეფასების დადებით კრიტერიუმს. „რა ხდება სამსახურში ჩემი არყოფნის დროს? როგორ მიდის საქმე? სრულდება გრაფიკი?“ - ფიქრობს “მზრუნველი” ხელმძღვანელი, მაგრამ, ვაი, რომ ცდება. ორგანიზაცია საათივით უნდა მუშაობდეს მაშინაც, როდესაც „ბოსი“ ადგილზე არ იმყოფება. ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს, როგორ გაუნაწილოს ძალაუფლება ხელქვეითებს. ამ შემთხვევაში, მას საკმარისი დრო დარჩება იმისთვის, მხიარულად გაატაროს დრო ოჯახთან და მეგობრებთან ერთად.



თანამშრომლები კი, მსგავსი “წვრთნის” პირობებში, სათანადო გამოცდილებას შეიძენენ.

მცირე ძალისხმევით მაქსიმალურ შედეგს მიაღწიე – აი, წარმატებული ხელმძღვანელის დევიზი.

წარმატების მისაღწევად, ზოგიერთისთვის, მრავალწლიანი, თავადადაებული შრომაა საჭირო, ზოგი ამას ერთი სატელეფონო ზარის მეშვეობით ახერხებს. ყველაფერი პრიორიტეტების ამორჩევასა და დროის გარკვეულ პერიოდში მოქმედებათა მოწესრიგებაზეა დამოკიდებული.

თუ სწორად მოვახდენთ უფლებამოსილებათა დელეგირებას, შემოქმედებითი საქმიანობისთვის მეტი დრო დაგვრჩება და, აქედან გამომდინარე, აქტიურად განვითარდებით ჩვენთვის სასურველი მიმართულებით.

დროის გონივრული მართვის მიზნით, აუცილებელია გამოავლინოთ სტრესული მდგომარეობის არსებობა საკუთარ თავში და ისწავლოთ სტრესების მოხსნის მეთოდები. სტრესული მდგომარეობის თვითდიაგნოსტიკის, რელაქსაციისა და პროფილაქტიკის მეთოდები ინდივიდუალური მუშაობის პროცესში შეიძლება.

ზოგჯერ, ცუდად ორგანიზებული სამუშაო პროცესი ადამიანის მიერ ალკოჰოლისა და თამბაქოს ბოროტად გამოყენების პროვოცირებას ახდენს. ხოლო როგორც კი ჩნდება გზები სამუშაო პროცესის სათანადოდ ორგანიზებისთვის, რელაქსაციის ამ მეთოდებისადმი მიდრეკილება შესამჩნევად მცირდება ან საერთოდ ქრება.

პირადი დროის ოპტიმიზაციის მიზნით, უმჯობესია, გეგმის მონახაზი მაინც იქონიოთ, ვიდრე დაუგეგმავად იმუშაოთ. ბევრად უმჯობესია, იმოქმედოთ თუნდაც ვარაუდებით, ვიდრე იმოქმედოთ ალაღბედზე.

რაც უფრო გაურკვეველია ჩვენი მომავალი, მით მეტად გეჭირდება ძალების მოკრება, რათა მოვამზადოთ ნიადაგი და განვჭვრიტოთ მოსალოდნელი ცვლილებები. სწორედ ესაა ბევრი წარმატებული ორგანიზაციის თუ პიროვნების (მუშაკის) საიდუმლო.

### სასარგებლო რჩევები

- შეადგინეთ სამუშაო დღის გეგმა, რაც დაგეხმარებათ რაციონალურად განკარგოთ თქვენს ხელთ არსებული დროის რესურსი და განსაზღვროთ პრიორიტეტები;

- ისწავლეთ ხანმოკლე და გრძელვადიანი გეგმების შედგენა;

- დააფიქსირეთ დროის ის მონაკვეთი, როდესაც იოლად ახდენთ კონცენტრირებას და ყველაზე რთული სამუშაო ამ დროისთვის შემოინახეთ;

- დროულად გამოავლინეთ და უზულებელპყავით დროის „მშთანთქმელები“; გვერდზე გადადეთ ყველა საქმე, რასაც თქვენი ყურადღების გაფანტვა ძალუძს;

- თათბირები და შეკრებები დათქმულ დროს დაიწყეთ. ნუ დაელოდებით დაგვიანებულ თანამშრომლებს;

- ისწავლეთ უფლება-მოსილებების დელეგირება; წინასწარ განსაზღვრეთ თანამშრომელთა დატვირთვის ხარისხი;

- მნიშვნელოვანი საქმეები დილისთვის დაგეგმეთ. დღე-ღამის ეს მონაკვეთი ყველაზე პროდუქტიული დროა;

- საქმიანი შეხვედრების ჩატარება დღის განმავლობაში სჯობს;

- სიტუაციური ცვლილებებიდან გამომდინარე, რეგულარულად მოახდინეთ ბიზნეს-გეგმისა თუ დღის განრიგის კორექტირება;

- სამუშაო დღის განრიგის შედგენისას გაითვალისწინეთ მოსალოდნელი მოულოდნელობები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეგიშალონ;

- პრობლემები, ხშირად, არა დროის დეფიციტის, არამედ პიროვნების მეტისმეტი ემოციურობის გამო იწენენ ხოლმე თავს;

- დროის ორგანიზებისადმი მეცნიერული მიდგომით ადვილი შესაძლებელია სიზარმაცის კონსტრუქციულ კალაპოტში მოქცევა და შემოქმედებითი კრიზისების ნეიტრალიზება.

განუწყვეტლივ ვიფიქროთ მომავალზე. ისევ და ისევ, გადავამოწმოთ ჩვენი გეგმები. სწორედ ამ გზით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ მოვლენები და განვსაზღვროთ მათი მიმდინარეობა, გავუმკლავდეთ ახალ გარემოებებს.

**\*შენიშვნა:** დრო - ეს არის მატერიის არსებობის ძირითადი ფორმა (სივრცესთან ერთად), რომელიც გამოიხატება ერთიმეორის მონაცვლე მოვლენების კანონზომიერ კოორდინაციაში. დრო არსებობს ობიექტურად და განუყრელადაა დაკავშირებული მატერიის მოძრაობასთან. დროის ატრიბუტია შეუქცევადობა. ე.ი. დრო მიმდინარეობს

მხოლოდ დადებითი მიმართულებით – წარსულიდან მომავლისკენ. დროს აქვს ერთი განზომილება.

თუ მითოლოგიასაც გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ჟამთაშვლის ღვთაება არის რომაული ჟანუსი – იგივე იანუსი (სიტყვიდან „იანუა“ - კარი), რომელსაც ბერძნული შესატყვისი არ მოექებნება. შესასვლელი კარისა და გასასვლელის გუშავს - იანუსს გასაღები ეჭირა, აღებდა და ხურავდა ჭიშკრებს. გამოსახულებებზე ორი სახე ჰქონდა, ერთი შიგნით იყურებოდა, მეორე გარეთ, მაგრამ ეს იყო არა მხოლოდ კარის, ჭიშკრის, ალაგის ღმერთი, არამედ ჟამთა სვლის, წარსულისა და მომავლის, დასაბამის და დასასრულის ღმერთიც. ამას მეტყველებს თვით წლის დასაწყისი თვე, რომლის სახელწოდება – იანვარი – იანუსის სახელს ატარებს.

იანუსი მოვლენათა წარმმართველი, ბედისწერის უზენაესი გამგებლის იუპიტერის ჯუფთი უზენაესი ღვთაებაა.

### ლიტერატურა:

#### References:

1. gaerTianebuli erebis organizaciis ganviTarebis programa (UNDP), avtorTa koleqtivi, „personalis marTva“ (meTodur-praqtikuli saxelmZRvanelo), gaeros ganviTarebis programa/00036279; Tbilisi, 2005w.;
2. gaerTianebuli erebis organizaciis ganviTarebis programa (UNDP), avtorTa koleqtivi, „rogor vmarToT organizacia“ (meTodur-praqtikuli saxelmZRvanelo), „saqarTvelos parlamentis saqmianobis efeqtianobisa da transparentobis gaumjobeseba“; gaeros ganviTarebis programa/00036279; Tbilisi, 2008w.;
3. avtorTa koleqtivi, „rogor vmarToT organizacia“ (meTodur-praqtikuli saxelmZRvanelo), „si ai em es konsaltingi“, Tbilisi, 2013w.;
4. gurgeniZe v., „menejerTa Sromis organizacia“, Tbilisis saxelmwifo universiteti; Tbilisi, 1997 w.;
5. gelovani ak., „miTologiuri leqsikoni“, Tbilisi, 1983w.;
6. „Successful Time Management“; ავტორი: Patrick Forsyth – 2010
7. „Time Power“; ავტორი: Brian Tracy – 2007
8. „Time Management“; Randy Pausch – 2008
9. The Power of Self Management: Pride and Professionalism for a Successful Career by Michael Henry Cohen (Feb 21, 2008)
10. Self-Management: Using Behavioral and Cognitive Principles to Manage Your Life by Edward P. Sarafino (Oct 26, 2010)

11. Working with self-management courses the thoughts of participants, planners and policy-makers (F.Roy Jones) 2010
12. Кук М., “Эффективный тайм-менеджмент – Как рационально спланировать свое рабочее и свободное время”, Изд. “Файр-пресс”, Москва, 2003г.;
13. Моргенстерн Дж., “Тайм-менеджмент – Искусство планирования и управления своим временем”, Изд. “Добрая книга”, Москва, 2002г.;
14. <http://books.google.ge/books?id=HyZaTW9sn1MC&printsec=frontcover&dq=Self-management+2012&source=bl&ots=7RqrIIOVcG&sig=c1rWJKi6FsGnhwN8FMsWJhFJ3y0&hl=ru&sa=X&ei=iX5hUN2uKqeo4gTho4D4Cg&ved=0CFEQ6AEwCQ#v=onepage&q=Self-management%202012&f=false> (ukanasknelad Semowmebulia 09.11.2015)

## **Tengiz Topuridze** **TIME MANAGEMENT**

### **Summary**

For increasing the effectiveness of our work is important to study relevant technologies, including the time-proven methods and introduction in practice. The basic knowledge of Time management, to control what and when we do, will help us to increase personal and organizational effectiveness. Arises questions: How effectively we use our time? What, why and how are we doing? Should we do this or someone other? How and what kind of information do we appeal to before make decisions? What time have we spent and what is the results, is the negate adequate?

The article presents Time management techniques and methods, the analysis of working with individual styles of manager or the ruler (general manager) and etc.

**Keywords:** corporate strategy, time management, accounting, efficiency, self-management.

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

## **Тенгиз Топуридзе** **УПРАВЛЕНИЕ ВРЕМЕНЕМ**

### **Резюме**

Ритм, в котором живут большинство из нас, вряд ли можно назвать спокойным и размеренным. Нехватка времени является серьезным испытанием, справиться с которым под силу далеко не каждому. Для повышения нашей эффективности необходимо изучение

апробированных методов управления временем и их применение на практике. Знание элементарных способов управления временем, контроль над тем что и когда нужно сделать, помогут повысить коэффициент как личной, так и корпоративной эффективности. Появляются вопросы: насколько эффективно мы используем наше время?! Для чего мы это делаем?! Должны ли мы этим заниматься или кто-то другой?! Как и на основании какой информации принимаются наши решения?! Сколько на это потрачено времени, эффективны ли наши результаты?!

В статье представлены методы управления временем; анализ стиля работы и управления менеджера.

**Ключевые слова:** корпоративная стратегия, управление временем, отчёт, эффективность, самоуправление.

**Рецензент:** Профессор Шота Догнадзе, Грузинский технический университет

**შალვა შუბლაძე**  
**სახელმწიფო მართვის ორბანოების როლი და ადგილი**  
**საბანგებო სიტუაციების მართვის პროცესში**

სტატიაში გაკეთებულია ანალიზი იმ ხარვეზებისა, რომლებიც იქნა დაშვებული სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ საბანგებო სიტუაციების მართვის პროცესში საქართველოში 2008 წლის აგვისტოსა და 2015 წლის ივნისში განვითარებული მოვლენების დროს.

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემოთავაზებულია წინადადებები აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის კუთხით და მოცემულია კონკრეტული მექანიზმები სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ საბანგებო სიტუაციების მართვის პროცესის სრულყოფის მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** საბანგებო სიტუაციები, მართვა და კონტროლი, მართვის ერთიანი სისტემა, რისკ - ფაქტორი, შედეგების ლიკვიდაცია.

დედამიწაზე ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდება, როგორც საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობა, ისე ბუნებრივი, ტექნოგენური და ეკოლოგიური ხასიათის საბანგებო სიტუაციების წარმოქმნის საფრთხე. ეს გამოწვეულია ტერიტორიების პროგრესირებადი ურბანიზაციის, ცალკეულ ტერიტორიებზე მოსახლეობის სიმჭიდროვის მკვეთრი ზრდის და ამის შედეგად პლანეტაზე ანთროპოგენური ზემოქმედებით კლიმატის გლობალური ცვლილებებით. მნიშვნელოვნად გაზრდილია სამხედრო კონფლიქტების და ტერორისტული აქტების საშიშროება, ასევე, იზრდება სამრეწველო და ენერგეტიკული ობიექტების სიმძლავრე. მათი რიცხვი, სირთულე და ტერიტორიული კონცენტრაცია.

ოდითგან ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა არის სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია. საქართველოს უსაფრთხოების სისტემა უნდა შეიქმნას, როგორც ქვეყნის მდგრადი განვითარების რეალიზაციის უზრუნველყოფის სისტემა.

შესაბამისმა მართვის სისტემამ, უპირველესად, უნდა შეძლოს ქვეყნის მიერ დასახულ სტრატეგიულ მიზანთა რეალიზაციის ყველა მოსალოდნელი ხიფათებისა და ძირითად ხელისშემშლელ პირობათა იდენტიფიკაცია; მან უნდა უზრუნველყოს ამ ხიფათების აცილების სახელმწიფო

პოლიტიკის შემუშავება, შექმნას მისი რეალიზაციის პოლიტიკური და ორგანიზაციული პირობები.

საქართველოს სრულფასოვანი განვითარება და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოითხოვს ქვეყნის მზაობას საგანგებო სიტუაციებში სწრაფი და ეფექტიანი მოქმედებისთვის. საჭიროა შეიქმნას საგანგებო სიტუაციებში მოქმედების მართვის სისტემა - ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული, პოლიტიკურად ძლიერი, უზრუნველყოფილი მოქმედების მკაფიო პროგრამით, პროფესიული კადრებით და კომპლექტებული და ტექნიკურად სათანადოდ აღჭურვილი.

ამგვარი სისტემის რეალური ეფექტიანობისთვის აუცილებელია, რომ საგანგებო სიტუაციებში წარმოქმნილ პრობლემათა ლიკვიდაციისთვის უზრუნველყოფილი იქნეს მოსახლეობის ფართო, აქტიური და ორგანიზებული თანამონაწილეობა. შესაბამისად, საჭიროა სახელმწიფო ადმინისტრაციის მთელი სისტემის გაძლიერება ამგვარ სიტუაციებში ქვეყნის ყველა რესურსის მობილიზაციისა და მათი ეფექტიანად წარმართვისთვის.

ყველა ამ მისწრაფებათა რეალიზაციის საფუძველს საქართველოს ხალხის სულიერი ერთობა და ქვეყნის სახელმწიფოებრიობა ქმნის. სწორედ ამ ღირებულებათა საიმედო დაცვა, მათი დამკვიდრების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტიები ქმნიან ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საფუძველს.

აქედან გამომდინარე საგანგებო სიტუაციების პრევენცია, მოსალოდნელი შედეგების შერბილება და სალიკვიდაციო სამუშაოების დროული და ოპერატიული ჩატარება, ანუ საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის უსაფრთხოება ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფოს ობიექტური მოთხოვნილება და ფუნქცია.

იმისთვის, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას საგანგებო სიტუაციებზე, როგორც მოვლენაზე, გვინდა ჩამოვყალიბოთ მისი განმარტება და “მოსახლეობის უსაფრთხოების” ცნება.

საგანგებო სიტუაცია – “ცელკეულ ტერიტორიაზე ან ორგანიზაციებში ისეთი კრიზისული ვითარება, რომელიც ხასიათდება მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების დარღვევით, რაც გამოწვეულია კატასტროფით, მასშტაბური სამრეწველო ავარიით, ხანძრით, სტიქიური უბედურებით, ეპიდემიით, ეპიზოტით, ეპიფიტოტით ან საბრძოლო საშუალებების გამოყენებით, რომელიც საფრთხეს

უქმნის ან/და შეიძლება საფრთხე შეუქმნას მოსახლეობის სიცოცხლეს, ან/და ჯანმრთელობას, იწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს მსხვერპლი, ადამიანთა დაშავება ან/და მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი”.

სამოქალაქო უსაფრთხოების ცნება მოიცავს:

ა) საგანგებო სიტუაციის პრევენციას და საგანგებო სიტუაციის შედეგების მიტიგაციას;

ბ) სახანძრო უსაფრთხოებას;

გ) საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალების მზადყოფნას მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი ან მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციისათვის, მასზე რეაგირებასა და მოსახლეობის დაცვას;

დ) სამოქალაქო უსაფრთხოების კატეგორიისათვის მიკუთვნებული ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

ზოგადად მართვის ნებისმიერი პროცესი უნდა შეიცავდეს ოთხ ძირითად შემადგენელს:

1. შემომავალი ზემოქმედება (პირდაპირი კავშირი) - სანფორმაციო სიგნალები, რომლებიც მმართველობითი სისტემიდან მართვადი სისტემისკენ მიდის.
2. შემომავალი ზემოქმედების გარდაქმნა - მიღებული სიგნალების დამუშავება გარკვეული ალგორითმის მიხედვით.
3. გამოსავალი - შემოსავალი ზემოქმედების გარდაქმნის შედეგი. ე.ი. მართვადი სისტემის საშემსრულებლო ქმედება.
4. უკუკავშირი - შემოსულ ზემოქმედებაზე შედეგის გავლენა. ე.ი. ანგარიშების მიღება მმართველობით ორგანოში მმართველობითი ობიექტის მდგომარეობასა და ფუნქციონირების თაობაზე.

საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის აუცილებლად მიგვანია განვიხილოთ ქვეყნის საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა და მისი ფუნქციონირების სქემები.

ერთიანი სისტემა არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, ავტონომიური რესპუბლიკების, სამხარეო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სამოქალაქო



უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების ერთობლიობა, რომელთა მიზანია სამოქალაქო უსაფრთხოების ცნებით განსაზღვრული ამოცანების შესრულება.

ერთიანი სისტემა მოიცავს საგანგებო სიტუაციების მართვას პოლიტიკურ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე. იგი უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის უწყვეტი პროცესის ძირითადი ფაზების (საგანგებო სიტუაციის პრევენცია, საგანგებო სიტუაციისათვის მზადყოფნა, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება) დროს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, რეაგირების ძალების საქმიანობის ორგანიზებას, მათ მართვას და მატერიალური რესურსების რეზერვის შექმნას.

მართვის პროცესის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი გადაწყვეტილების მიღების ფაზა. გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს განეკუთვნება:

I ეტაპი. გადაწყვეტილების მზადება.

ინფორმაციის მოპოვება არსებული სიტუაციის თაობაზე; მიზნების განსაზღვრა; შეფასებათა სისტემის შემუშავება; სიტუაციის ანალიზი; სიტუაციის დიაგნოსტიკა; სიტუაციის განვითარების პროგნოზის შემუშავება.

II ეტაპი. გადაწყვეტილების შემუშავება.

გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტების გენერირება; მმართველობითი ზემოქმედების ვარიანტების შემუშავება; სიტუაციის განვითარების სცენარების დამუშავება; მმართველობითი გადაწყვეტილების ძირითადი ვარიანტების საექსპერტო შეფასება; ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი შეფასება.

III ეტაპი . საკუთრივ გადაწყვეტილების მიღება.

IV ეტაპი. მმართველობითი გადაწყვეტილების რეალიზაცია.

სამოქმედო გეგმის შემუშავება; გეგმის შესრულების კონტროლი; მმართველობითი ზემოქმედების შედეგების ანალიზი.

V ეტაპი. უკუკავშირი.

ანგარიშების და მოხსენებების მიღება.

ერთიანი სისტემა ფუნქციონირებს შემდეგ რეჟიმებში:

ა) ყოველდღიური საქმიანობა – საგანგებო სიტუაციის საფრთხის არარსებობა;

ბ) გაძლიერებული მზადყოფნა – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისა და განვითარების საფრთხის არსებობა;

ე) საგანგებო რეჟიმი – საგანგებო სიტუაციის განვითარება, აგრეთვე, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება.

საგანგებო სიტუაციების მართვის თეორიულ საფუძვლებს ჩვენ იმიტომ შევეხეთ, რომ სტატიაში გვინდა გაგვაკეთოთ ანალიზი, თუ როგორ მოქმედებდა მართვის ერთიანი სისტემა მოსახლეობის და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების დაცვის ღონისძიებების გატარების კუთხით, 2008 წლის რუსეთის აგრესიის და 2015 წელს მდინარე ვერეს ადიდების დროს.

2008 წლის აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა ქვეყნის ყველა დონის მართვის ორგანოების მოუმზადებლობა ომიანობის პირობებში მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით.

პირველი რასაც გვინდა გავუხვათ ხაზი, გახლავთ ის რომ არ შესრულდა საქართველოს კანონის “საგანგებო მდგომარეობის შესახებ” მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებს “საგანგებო მდგომარეობის დროს, კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით დროებით განასახლონ მოქალაქეები საცხოვრებლად საშიში რაიონებიდან”. ე.ი. სავარაუდო კონფლიქტის ზონებიდან არ ჩატარებულა მოსახლეობის ევაკუაცია. ამასთან არ მომხდარა პირუტყვის გამოყვანა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც პირუტყვის სულადობის შენარჩუნების, ასევე საბრძოლო მოქმედებების რაიონში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების გართულების თავიდან აცილების მიზნით.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი მატერიალური

ფასეულობების გამოტანა კონფლიქტის ზონიდან (მაჩაბლის სახლ-მუზეუმი, მოსახლეობის პირადი ქონება და სხვა).

განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ არ იყო დაგეგმილი მოსახლეობის დაცვით ნაგებობებში თავის შეფარების ღონისძიებები მოწინააღმდეგის საავიაციო, სარაკეტო და საარტილერიო ზემოქმედების პირობებში. არ ფუნქციონირებდა მოსახლეობის შეტყობინების და ინფორმირების სისტემა და მრავალი სხვა.

ეს ყოველივე არის შედეგი იმისა, რომ ქვეყანას არ ჰქონდა კანონი “სამოქალაქო თავდაცვის შესახებ”, რომელშიც მკაფიოდ იქნებოდა განსაზღვრული ცენტრალური

ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ამოცანები, უფლებამოსილება და მათი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები ომიანობის პერიოდში მოსახლეობის დაცვის და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების გადარჩენის სფეროში.

თუ ვისაუბრებთ 2015 წლის 13 ივნისს ვერეს ხეობაში განვითარებულ მოვლენებზე, ამ შემთხვევაში ჩანს, რომ სახელისუფლებო მართვის ორგანოები და შესაბამისი სამსახურები ვერ აღმოჩნდნენ სრულ მზადყოფნაში, რათა ორგანიზებულად შებრძოლებოდნენ სტიქიას.

ჩვენ არ გვინდა თქვენი ყურადღება შევანეროთ ამ პრობლემის გეოლოგიურ, კონსტრუქციულ ან საინჟინრო მხარეზე, არამედ გვინდა ვისაუბროთ იმ ნაკლოვანებებზე, რომელიც გამოვლინდა მართვის სფეროში.

პირველი რაც გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ გახლავთ ის, რომ მონიტორინგის სამსახურები არ აღმოჩნდნენ თავის სიმადლეზე (გარდა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურისა). ამით იმის თქმა გვინდა, რომ ქვეყანაში არ მიმდინარეობს რისკის ზონების სისტემატიური მონიტორინგი.

შემდეგი საკითხი გახლავთ ქვეყანაში არსებული რისკის ზონების პრევენცია და მათი თავიდან აცილების ან შერბილების გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარება. ეს საკითხიც ამ ეტაპზე შესაბამისი ორგანოების მიერ არ არის შესწავლილი, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ არ ხდება რისკების შედეგების პროგნოზირება და მათზე რეაგირების დასაგეგმად კონკრეტული შეთავაზებების მომზადება.

და ბოლოს საგანგებო სიტუაციის განვითარების შემთხვევაში მასზე ადეკვატური რეაგირების განხორციელება.

ამ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ და ამისათვის თვალი გავადევნოთ 2015 წლის 13 ივნისს განვითარებული მოვლენების დინამიკას.

13 ივნის 23.20 საათზე პირველი სიგნალი მოსახლეობისაგან შევიდა 112-ის სამსახურში. ჩვენ დარწმუნებულები ვართ ეს ინფორმაცია დროულად გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს და ეროვნული უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს. როგორც ხედავთ ჩვენ ამ ჩამონათვალში არ შეგვიყვანია ქ. თბილისის მერია. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ მთავრობის დადგენილებით 2015 წლის 10 იანვრიდან ქ. თბილისის

საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველო გამოვიდა მერიის დაქვემდებარებიდან და გადაეცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, რაც ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ იყო სწორი გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს სამსახური უნდა იყოს მერიის დაქვემდებარებაში და ქ. თბილისის მერი უნდა იყოს პასუხისმგებელი ქალაქის ტერიტორიაზე განვითარებული საგანგებო სიტუაციების პრევენციაზე, რეაგირებისა და შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაგეგმვასა და ჩატარებაზე. შესაბამისად ამისათვის საჭირო ძალების შექმნაზე, აღჭურვასა და მომზადებაზე.

სხვადასხვა ობიექტის სამეთვალყურეო კამერებიდან აღებული მასალების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დაავსკენათ, რომ:

- ვაკე-საბურთალოს გზის და გმირთა მოედნის დამაკავშირებელ ახალ გზაზე საპატრულო პოლიციამ ვერ მოახერხა ტრანსპორტის გადაადგილების დროული აღკვეთა;

- ვერ განხორციელდა რისკის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის დროული ინფორმირება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და შესაბამისად არ მიეცათ მითითებები სამომავლო მოქმედებებთან დაკავშირებით ;

- ასევე გარკვეულწილად დაგვიანებით განხორციელდა მოსახლეობის ევაკუაცია და მათი პირადი ქონების გატანა რისკის ზონებიდან ;

- მიუხედავად იმისა, რომ სამაშველო სამსახურები თავგანწირულად ებრძოდნენ სტიქიას და ყველაფერს აკეთებდნენ მოსახლეობის დასახმარებლად, სამწუხაროდ გამოჩნდა გარკვეული პრობლემები მათ მომზადებაში და სათანადო აღჭურვის სიმწირე. კერძოდ, ოპერატიულად ვერ მოხერხდა შესაბამისი ტექნიკის გადასროლა, ვერ იქნა გამოყენებული ვერტმფრენები, ვერ მოხერხდა ადგილმდებარეობის ალტერნატიული წყაროებით განათება და სხვა.

ცალკე განსჯის საგანია ზოოპარკთან დაკავშირებული თემა. როგორც გაირკვა ზოოპარკში სათანადო დონეზე არ იდგა ცხოველების აღრიცხვის საკითხი. რისი ნათელი დადასტურებაა ცოცხლად გადარჩენილი, დაღუპული და დაკარგული ცხოველების რაოდენობის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება. ნებისმიერი ფორმით უნდა მომხდარიყო აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება და

დაზუსტება მის გავრცელებამდე. ეს თავიდან აგვაცილებდა იმ გაუგებრობას, რომელიც შეიქმნა ქალაქის სხვადასხვა უბანში.

სამწუხაროდ არც ზოოპარკს და დარწმუნებული ვართ, რომ არც სხვა ობიექტებს არ გააჩნდათ კრიზისულ სიტუაციებში ევაკუაციის გეგმა. ასეთი გეგმის არსებობის შემთხვევაში ნათლად იქნებოდა გაწერილი თუ რა ტრანსპორტით (რა რაოდენობით და საიდან მიეწოდება ეს ტრანსპორტი), სად, რა მარშრუტით და რა ვადებში ხდება ცხოველების ევაკუაცია.

რაც შეეხება შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს. ჩვენდა სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს მოსახლეობის და განსაკუთრებით, ახალგაზრდების როლი ამ პროცესებში. ისინი საკუთარი ინიციატივით ჩაერთვნენ სტიქიის მიერ მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაში და მოსახლეობის დახმარებაში. სამწუხაროდ დიდი დრო დასჭირდათ სახელისუფლებო მართვის ორგანოებს, რომ ორგანიზებული ხასიათი მიეცათ ამ აქტივობებისათვის.

ორივე შემთხვევის ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესების პრევენციის, თავიდან აცილების (შერბილების) და ადეკვატური რეაგირების საკითხების სწორი დაგეგმვა და მათი ოპერატიული განხორციელება.

იმისათვის, რომ ქვეყანაში აღარ განმეორდეს მსგავსი ფაქტები აუცილებლად მიგვანია მეცნიერების, ექსპერტების და სპეციალისტების ჩართვით შემუშავდეს სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებში დამუშავებული იქნება შემდეგი საკითხები:

1. უნდა მოხდეს ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა რისკ-ფაქტორის იდენტიფიცირება;

2. ამის საფუძველზე უნდა განისაზღვროს რისკის ზონები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას აღნიშნული რისკ-ფაქტორების გააქტიურების შემთხვევაში;

3. უნდა გაკეთდეს მოსალოდნელი შედეგების პროგნოზი;

4. უნდა დაწესდეს მუდმივი მონიტორინგი გამოვლენილ რისკ-ფაქტორებზე;

5. უნდა შემუშავდეს პრევენციის, თავიდან აცილების ან შედეგების შერბილების ღონისძიებების გეგმა;

6. უნდა შეიქმნას რისკის ზონებში მაცხოვრებელი მოსახლეობის შეტყობინების და ინფორმირების სისტემები;

7. უნდა შეიქმნას მოსახლეობის საინჟინრო დაცვის სისტემა, რაც გულისხმობს დაცვითი ნაგებობების (თავშესაფრები, საფრები, საცხოვრებელი სახლების 0-ანი სართულები, სარდაფები და სხვა) ფონდის შექმნას და მათში თავის შეფარების ღონისძიებების მოსახლეობისათვის სწავლებას;

8. უნდა შემუშავდეს რისკის ზონებიდან მოსახლეობის და მნიშვნელოვანი მატერიალური ფასეულობების ევაკუაციის გეგმები;

9. ყველა შესაბამისი სამსახურის მიერ პროგნოზის მასალების საფუძველზე უნდა გაკეთდეს გათვლები შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის საჭირო ძალებსა და საშუალებებზე. შემუშავდეს რეაგირების გეგმები;

10. უნდა განისაზღვროს სახელისუფლებო მართვის ყველა დონის ორგანოების ფუნქციონირების სქემები აღნიშნული პროცესების მართვის დროს;

11. უნდა ჩამოყალიბდეს ანგარიშგების სისტემა და კონტროლის მექანიზმები.

ამ პროგრამის განხორციელება საშუალებას მოგვცემს მომზადებული შევხვედით ქვეყანაში განვითარებულ ნებისმიერი სახის საგანგებო სიტუაციას, რაც თავიდან აგვაცილებს ადამიანების მოსალოდნელ მსხვერპლს და მინიმუმამდე დაიყვანს მატერიალურ ზარალს.

აღნიშნულ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა 2008 წელს და 2015 წელს განვითარებული მოვლენების მართვის პროცესებში დაშვებული ხარვეზები და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით წარმოგვედგინა მათი გადაჭრის ჩვენეული ხედვა.

### ლიტერატურა:

#### References:

1. saqarTvelos kanoni “samoqalaqo usafriTxoebis Sesaxeb”. <https://matsne.gov.ge> 12/06/2014.
2. saqarTvelos kanoni “sagangebo mdgomareobis Sesaxeb”. parlamentis uwyebani #44, 21/11/97.
3. doRonaZe S., iaSvili g. sajaro samsaxuri saqarTveloSi: reformebi, gamowvevebi – „eleqtroniuli mTavroba“. Tbilisi. 2013.
4. SublaZe T. sagangebo situaciebis marTva. Tbilisi. 2010.
5. Буланенков С., Воронов С., Губченко П. и др. Защита населения и территорий в чрезвычайных ситуациях. Калуга. 2001.

6. Grayling A. A Defence of Civil Society and Enlightenment Values. Bloomsbury Publishing PLC. 2009.

**Shalva Shubladze**

## **ROLE AND PLACE OF STATE MANAGEMENT BODIES DURING EMERGENCY MANAGEMENT PROCESS**

### **Summary**

The article analyzed the defects that have been made by the state bodies during governing of the emergency management process in Georgia in August 2008 and June 2015. Based on analysis and international experience we propose some suggestions and the specific mechanisms for the state management bodies to improve management process during emergency situations.

**Keywords:** Emergency situations, management and control, united management system, risk – factors, liquidation of consequences.

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Шалва Шибладзе**

## **РОЛЬ И МЕСТО ГОСУДАРСТВЕННЫХ ОРГАНОВ УПРАВЛЕНИЯ В ПРОЦЕССЕ УПРАВЛЕНИЯ ЧРЕЗВЫЧАЙНЫМИ СИТУАЦИЯМИ**

### **Резюме**

В статье проанализированы недостатки, которые были допущены государственными органами управления в процессе управления чрезвычайными ситуациями возникшими в Грузии в августе 2008 года и июне 2015 года.

На основе анализа и международного опыта высказаны предложения по искоренению этих недостатков и конкретные механизмы усовершенствования процесса управления чрезвычайными ситуациями государственными органами управления.

**Ключевые слова:** Чрезвычайные ситуации, управление и контроль, единая система управления, риск - фактор, ликвидация последствий

**Рецензент:** Профессор Шота Догонадзе, Грузинский технический университет.

# ე კ ო ნ ო მ ი კ ა

## ბესიკ შერაზადიშვილი დროის მინეჯმენტის პრინციპების გამოყენების მნიშვნელობა მართვის სხვადასხვა დონეზე

შრომითი პროცესების დასაგეგმად და ეფექტურად განსახორციელებლად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი არის - დრო. რაც როგორც სტრატეგიული რესურსი, ეფიქრობთ, ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც მაგალითად: მატერიალური რესურსი, ინფორმაცია, ტექნიკა, პერსონალი. სამუშაო დროის არაეფექტურმა მართვამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი, ვინაიდან ადამიანის შრომითი ენერჯის არარაციონალურმა გამოყენებამ შეიძლება მინიმუმამდე შეამციროს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა.

უმაღლესი რგოლის მენეჯერი ახდენს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ დაქვემდებარებული თანამშრომლების სამუშაო რეჟიმის დაგეგმვას. ამიტომ მან უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა იცოდეს, როგორ იხარჯება დაქვემდებარებულთა სამუშაო დრო. საშუალო რგოლის მენეჯერები, შეიმუშავენ გეგმებს, ქმნიან პროექტებს, ანაწილებენ დავალებებს, ამიტომ მათთვის განსაკუთრებით საგულისხმოა საშუალოვადიან პერსპექტივაში დაგეგმვის უნარის ფლობა. ხოლო ქვედა რგოლის მენეჯერების უპირველესი მოვალეობაა თავიანთ დეპარტამენტში შრომისა და დასვენებისათვის ოპტიმალური სამუშაო ვარემოს უზრუნველყოფა.

მოცემულ ნაშრომში განხილულია მართვის სხვადასხვა დონეზე სამუშაო დროის ეფექტური გამოყენების თეორიული ასპექტები.

**საკვანძო სიტყვები:** დროის მართვა, ხელმძღვანელობა, წარმატება, მართვის დონე, დროითი რესურსი.

### დროის მენეჯმენტის პრინციპების გამოყენების მნიშვნელობა მართვის სხვადასხვა დონეზე

სხვადასხვა რანგის მენეჯერებს, საჯარო სფეროს ორგანიზაციაში, უპირველეს ყოვლისა, ევალებათ შრომითი პროცესების დაგეგმვა. შრომის პროცესის დაგეგმვის არსებული პრაქტიკა მოიცავს ორი მიმდინარეობის ელემენტებს. ერთ-ერთი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ეფექტიანობის სკოლა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს



პროექტირებისადმი სისტემატურ, ლოგიკურ მიდგომას, ხოლო მეორე, რომელიც ქცევით მიმდინარეობას განეკუთვნება, აქცენტს საჭიროებების და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე აკეთებს.

შრომითი პროცესების ეფექტურად დასაგეგმად და განსახორციელებლად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ნებისმიერი ორგანიზაციის სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსი არის - დრო, რომელიც აუცილებელია წარმატების მისაღწევად. ამასთან, დრო, როგორც სტრატეგიული რესურსი, ვფიქრობთ, ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც მაგალითად: მატერიალური რესურსი, ინფორმაცია, ტექნიკა, პერსონალი და სხვა. სამუშაო დროის არაეფექტურმა მართვამ საბოლოო ჯამში შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი ვინაიდან ადამიანის შრომითი ენერჯის არარაციონალურმა გამოყენებამ შეიძლება მინიმუმამდე შეამციროს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა თანამედროვე კონკურენტული გარემოს პირობებში.

ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელიც სათანადოდ ვერ აფასებს დროის ფაქტორს და არ შეუძლია მისი (დროის) ეფექტური მართვა, ვფიქრობთ, ფაქტობრივად განწირულია წარუმატებლობისათვის. ლოგიკურია, რომ დროის მენეჯმენტიც უმთავრესად რეკომენდაციებს სწორედ ხელმძღვანელი პირებისთვის აყალიბებს, ანუ მათთვის, ვინც მეტად უფლებამოსილია თავისუფლად, შემოქმედებითად განკარგოს საკუთარი დრო და არა იმ შედარებით ქვედა რგოლის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მექანიკურ, რუტინულ, დროში ისედაც მკაცრად გაწერილ სამუშაოს ასრულებენ.

განვიხილოთ დროის მენეჯმენტის ძირითადი რეკომენდაციები ხელმძღვანელი პირებისთვის მართვის დონეების მიხედვით:

ტოპ-მენეჯერები: უმაღლესი რგოლის მენეჯერი ახდენს არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვა (დაქვემდებარებული) თანამშრომლების სამუშაო რეჟიმის დაგეგმვას. ამიტომ მან (უმაღლესი რანგის მენეჯერმა) უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა იცოდეს, როგორ იხარჯება დაქვემდებარებულთა სამუშაო დრო სინამდვილეში, ვინაიდან გამოყენებული (დახარჯული) დროის ანალიზი დაეხმარება მას გამოავლინოს დროითი დანაკარგები, დაინახოს თანამშრომლების პრაქტიკული მუშაობის სტილის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამგვარი ანალიზი აუცილებელია განსაკუთრებით მაშინ,

როდესაც არ არის ცნობილი: რაზე იხარჯება დრო, რა დროს მოითხოვს ამა თუ იმ საქმის აღსრულება, რა ფაქტორები ასტიმულირებენ ან აფერხებენ შრომისუნარიანობას. რასაკვირველია, ნებისმიერი ხელმძღვანელი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ უპირველეს ყოვლისა შეამციროს არარეგლამენტირებული პაუზები თანამშრომელთა მუშაობის პროცესში.

იმისათვის, რომ მენეჯერმა შეძლოს დაქვემდებარებულების ეფექტურად მართვა, ვფიქრობთ, იგი მოვალეა კარგად იცნობდეს თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალურ "დროის ფონდს". განსაკუთრებით, მათი სამუშაო დროის ხარჯვის რეალურ სურათს, ვინაიდან დროის ინდივიდუალური „ფონდი“ შედგება როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო დროისგან (პირადი საჭიროებებისთვის განსაზღვრული დრო, თავისუფალი დრო). მენეჯერმა, რასაკვირველია, უნდა იცოდეს დაქვემდებარებულ საფეხურებზე ყველა უწყსრიგობათა შესახებ, მაგრამ მისი ჩარევა აუცილებელია მხოლოდ მაშინ, როცა დარღვევები და ნაკლოვანებები სისტემად იქცევა და ქვემდგომ რგოლებს აღარ ძალუბთ მათი აღმოფხვრა. ასეთ შემთხვევებშიც კი ზემდგომმა რგოლმა არ უნდა შეწყვიტოს პერსპექტიულ მიმართულებებზე მუშაობა.

დროის ოპტიმიზების მიზნით სასურველია ტოპ-მენეჯერმა იქონიოს სამოქმედო გეგმის მონახაზი, ვინაიდან რაც უფრო გაურკვეველია მომავალი, მით მეტად რთულია ძალების მოკრება მოსალოდნელი ცვლილებების შესაფასებლად. ტოპ-მენეჯერმა განუწყვეტილად უნდა გადაამოწმოს თავის გეგმები, რათა იოლად შეძლოს ახალ გარემოებებთან გამკლავება. ამასთან, რაც უფრო მაღალია მართვის საფეხური, მით ფართო უნდა იყოს მენეჯერის თვალსაწიერი. ის ვალდებულია „იყურებოდეს შორს“ და მნიშვნელოვან სამომავლო, პერსპექტიულ პრობლემებზე დღესვე ფიქრობდეს.

საშუალო რგოლის მენეჯერები: საშუალო რგოლის მენეჯერები, შეიმუშავენ გეგმებს, ქმნიან პროექტებს, ანაწილებენ დავალებებს, მათ ევალებათ ინფორმაციის შეგროვება და სწორად გადაცემა, ამიტომ მათთვის განსაკუთრებით საგულისხმოა საშუალოვადიან პერსპექტივაში დაგეგმვის უნარის ფლობა. როგორც წესი, სამუშაო პროცესის წარმატებული გეგმა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- შემუშავებული უნდა იყოს გამოცდილი პერსონალის მიერ, რომელთაც აუცილებელი განათლება და მომზადება გააჩნიათ;

- მისი მიზნები უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის მიზნებს;

- დოკუმენტურად უნდა იყოს დაფიქსირებული;

- მისაღები და გასაგები უნდა იყოს როგორც ხელმძღვანელობისთვის, ასევე შემსრულებლებსათვის.

აღსანიშნავია, რომ გრძელვადიან დაგეგმვაში, დროითი დანახარჯების განაწილება და კოორდინაცია სხვადასხვა ამოცანებს შორის, ბუნებრივია შესაძლებელია ვარაუდის დონეზე. ხოლო რაც შეეხება საშუალო და მოკლევადიან გეგმებს (ყოველკვირეული, ყოველდღიური) აქ დროითი დანახარჯების ოპტიმალური განაწილების სიზუსტეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

იმისათვის, რომ საშუალო რგოლის მენეჯერებმა მართებულად, ეფექტიანად დავეგეგმონ თავიანთი დრო, მათ უპირველესად კარგად უნდა გააანალიზონ თუ როგორ ეპყრობიან დროით რესურსს. ამისათვის რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას დროის ხარჯვის ფიქსირების სათანადო წესი და შესაბამისი ფორმები. დროის აღრიცხვის შემთხვევაში, უნდა დაფიქსირდეს ყველა ის აქტივობა, რომელთა ხანგრძლივობა 2-3 წუთს აღემატება. დროის აღრიცხვის მარტივი ხერხი - საქმის დასაწყისისა და დასასრულის ფიქსირებაა. სასურველია, ასევე გააანალიზდეს, როგორ გამოიყენებოდა მთელი კვირის განმავლობაში სამუშაო და თავისუფალი დრო, რა დრო იხარჯებოდა კონკრეტული სამუშაოების შესრულებასა და სხვადასხვა აქტივობებზე. დროის სწორად დაგეგმვა აძლევს მენეჯერს საშუალებას, რომ გასცეს პასუხი კითხვას, თუ როგორი უნდა იყოს მისი საქმიანობის მასშტაბი, რათა შესაძლებელი გახდეს დასახული მიზნების ეფექტური განხორციელება. ამრიგად, თითოეული საქმიანობა კოორდინაციაში უნდა იყოს სხვა მიზნების მისაღწევად საჭირო საქმიანობებთან.

საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის კიდევ ერთი განსაკუთრებით საგულისხმო რეკომენდაცია, ვფიქრობთ არის პრიორიტეტის სწორად განაწილების უნარი. თანამედროვე დროის მენეჯმენტი, სწორედ საშუალო რგოლის მენეჯმენტებისთვის

გეთავაზობს ე.წ. „ეიზენჰაუერის მატრიცის“ გამოყენებას.

ქვედა რგოლის მენეჯერები: როგორც წესი, პასუხისმგებელი არიან კონკრეტული დეპარტამენტის ფუნქციონირებაზე. მათ ევალებათ ლოკალურად, მცირე რაოდენობის თანამშრომლების მართვა. აგრეთვე, შრომითი პროცესებისა და შრომის მეთოდების დაგეგმვა თავიანთ განყოფილებაში.

შრომითი პროცესის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ასპექტია - შრომის პირობები, რასაც ქვედა რგოლის მენეჯერების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. არსებობს მეცნიერება, რომლის დასახელებაა ერგონომიკა და რომელიც შეისწავლის თანამდებობრივი ვალდებულებების, სამუშაო სივრცის, მანქანა-დანადგარების და მასალების, კომპიუტერული პროგრამების შესაბამისობას ადამიანის ეფექტიანი და უსაფრთხო შრომის პირობებთან, მისი ფსიქიკური და ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე. იმ ერგონომიკული ფაქტორებიდან, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას ფართისა და მანქანა-დანადგარების შერჩევის დროს, აღსანიშნავია: ტემპერატურა, ტენიანობა, ვენტილაცია, განათება, ფერთა შეხამება, ხმაური, ვიბრაცია და სხვა ფაქტორები. თუ არ იქნება დაცული ერგონომიკული კრიტერიუმები იმ ნორმატივების შესაბამისად, რომლებიც უკვე მრავალი მიმართულებით არის შემუშავებული, მაშინ შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ადამიანის არაეფექტიან შრომას, სწრაფ დაღლილობას, ყურადღების გაფანტულობას, ჯანმრთელობის დაზიანებას. მშრომელთა უსაფრთხოების დაცვა უნდა ხდებოდეს იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებშიც მათ უწევთ მუშაობა. მიმე პირობების დროს აუცილებელია სპეციალური ჯანდაცვის პუნქტებისა და სწრაფი რეაგირების უსაფრთხოების ბრიგადების ორგანიზება. იმ პროფესიების შემთხვევაში კი, რომლებიც სწრაფ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ გამოფიტვას იწვევს, საჭიროა შრომით პროცესში დასვენებების და პაუზების ხშირად მოწყობა. ზოგჯერ ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენელს კვების სათანადო პირობები სჭირდება. ამრიგად, ქვედა რგოლის მენეჯერების უპირველესი მოვალეობაა თავიანთ დეპარტამენტში შრომისა და დასვენებისათვის ოპტიმალური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.

პირადი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, აუცილებელია ნებისმიერი რანგის მენეჯერი ფლობდეს სპეციალურ ტექნოლოგიებს. ამისათვის საკმარისია მენეჯერმა გარკვეული

დრო საკუთარი საქმიანობის შეფასებას დაუთმოს - გვერდიდან შეხედოს საკუთარ თავს და იფიქროს ხარვეზების აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებზე. დროის აღრიცხვის პროცესის მნიშვნელოვანი სირთულე არის სიტუაციის დაუყოვნებლივ გამოსწორებისა და ხარვეზების აღმოფხვრის სურვილი. გამოძინარე იქიდან, რომ ჩვევები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდება, მათი ერთბაშად მოშლა წარმოუდგენელია. ხარვეზების აღმოფხვრა, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ ამას გარკვეული დრო და ძალისხმევა სჭირდება. პირველ ეტაპზე საკმარისია მივიღოთ პირადი დროის გამოყენების ობიექტური სურათი.

### **ლიტერატურა:**

#### **References:**

1. David Allen - "Getting Things Done: The Art of Stress-Free Productivity". 2002.
2. H.Reardon - "Time Management". 2013.

### **Besik Sherazadishvili**

#### **TIME MANAGEMENT PRINCIPLES FOR MANAGERS OF VARIETY LEVELS**

##### **Summary**

One of the most important resources for the planning and effective implementation of work processes, is - time. We believe, that as a strategic resource, time is as important, as other resources. For example: material resources, information, technology, personnel. Ineffective management of working time can lead to very important economical losses of the organization. The irrational use of human labor can minimize the organization's competitiveness today.

High-level manager plans not only their own time, but also the employee's working time. So first of all they must have to know how spent other workers their time-Resources. Managers of medium level, have to develop plans, create projects, distribute tasks, so it is especially important for the medium-term planning skills. But lower-level managers in the primary have to care about optimal environment for work in their Departments. However, in each case, it is important to find own opportunities through analysis, against irrational spending of own time resource.

In this work is discussed the theoretical aspects about effective use of working time by managers of variety levels.

**Keywords:** Time management, success, management level, time distribution, time resource.

**Reviewer:** Professor Genadi Iashvili, Georgian Technical University

**Бесик Шеразашвили**

## **ЗНАЧЕНИЕ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ПРИНЦИПА МЕНЕДЖМЕНТА ВРЕМЕНИ НА РАЗЛИЧНЫХ УРОВНЯХ УПРАВЛЕНИЯ**

### **Резюме**

Время является одним из наиболее важных ресурсов для планирования и эффективного осуществления производственных процессов. Время, как стратегический ресурс, наряду с другими ресурсами как материальные ресурсы, информация, технологии, персонал, имеет большое значение. Неэффективное управление рабочим временем может привести к значительным экономическим потерям, так как нерациональное использование рабочей силы человека может свести к минимуму конкурентоспособности организации.

Менеджер высшего уровня может планировать как режим собственного рабочего дня, но и своих подчиненных. Таким образом, он в первую очередь, должен знать, на что тратится рабочее время своих подчиненных. Менеджеры среднего уровня, разрабатывают планы, создают проекты, распределяют задачи, поэтому для них важно владение навыков среднесрочного планирования. А основная обязанность менеджеров низкого уровня обеспечение оптимальной среды для труда и отдыха в своих департаментах.

В донной работе рассматриваются теоретические аспекты по эффективному использованию рабочего времени на различных уровнях управления.

**Ключевые слова:** управление временем, руководство, успех, уровень управления, временной ресурс.

**Рецензент:** Профессор Геннадий Яшвили, Грузинский технический университет

**ირინა ბენია, ბენ იაკოვ რიგვა**  
**საქართველო – ევროკავშირის ასოცირების**  
**შეთანხმების შესაძლო გავლენა რუსეთთან სავაჭრო-**  
**ეკონომიკურ ურთიერთობაზე**

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო ხელშეკრულებასთან ერთად, როგორც ასოცირების ხელშეკრულების ნაწილი, არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის. ხელშეკრულების სრულად გამოყენება შეამცირებს საქართველოს დამოკიდებულებას რუსეთის შედარებით არასტაბილურ ბაზარზე.

რუსეთის ბაზრის მნიშვნელობა საქართველოსთვის და ექსპორტის მანევრებლის ზრდისთვის, ერთმნიშვნელოვნად მაღალია. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლებას ეს ძალიან კარგად ესმის, თუმცა ეკონომიკური ბერკეტების მეზობელ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლისათვის გამოყენება რუსეთისთვის ჩვეული პრაქტიკაა.

საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებას რუსეთისგან რაიმე დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობების გარეშე მოაწერა ხელი, თუმცა ასოცირების ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა სამთავრობო კანონპროექტი რუსეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შეჩერების თაობაზე.

რუსეთის რეაქცია ასოცირების შეთანხმებაზე უფრო გეოპოლიტიკური ვაგლენის დაკარგვის შიშითაა გამოწვეული, ვიდრე ეკონომიკური ვათვლებით. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობა წინააღმდეგობაშია რუსეთის ევრაზიული კავშირის იდეასთან, შესაბამისად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროინტეგრაციისკენ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს რუსეთი საკუთარი ინტერესებისათვის საფრთხედ აღიქვამ

**საკვანძო სიტყვები:** ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულება, საქართველოს ევროინტეგრაცია, ევრაზიული კავშირი, რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თავისუფალი ვაჭრობა.

ევროკავშირთან ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV კარი - ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველო თვის ხსნის ევროკავშირის შიდა ბაზარს.

საქართველო რეალურ სარგებელს მიიღებს ვაჭრობის სფეროში წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობებისა და ევროკავშირის ბაზრის-მსოფლიოში უდიდესი ბაზრის - მისაწვდომობის გაადვილების შედეგად. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას „დროთა განმავლობაში, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დაიმკვიდროს შესაფერისი ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. წარმოქმნება ახალი შესაძლებლობები არამარტო ევროკავშირ სადასაქართველოს შორის ვაჭრობაში, არამედ, ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების აღიარების გათვალისწინებით, მსოფლიოს სხვა განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობაშიც. აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მომხმარებლებს ბევრად დიდი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს, უზრუნველყოფს უფრო მაღალხარისხის პროდუქციით და უცხოელი ინვესტორებისათვის საქართველოს უფრო მიმზიდველ ადგილად აქცევს, შესაძლებელს გახდის საქართველოს ეკონომიკისადაპტაციას ცივილიზებული ქვეყნების ეკონომიკებში.

ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე არ აწესებს რაიმე შეზღუდვას საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებზე. პირიქით, თავისუფალი ვაჭრობის სივრცეები, მაგალითად, ისეთ ქვეყნებთან, როგორც არის თურქეთი, ხელს უწყობს ვაჭრობის გაფართოებას, ვინაიდან კომპანიებს ექმნებათ შესაძლებლობა ნაკლებ ფასად მოახდინოს საწარმოო პროცესებისა და იმპორტის კომპონენტების გაერთიანება. ღრმა და ყოველისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის ზრდას, შესაბამისად, ის არ წარმოადგენს საფრთხეს მისთვის ან სხვა ქვეყნებთან მისი ურთიერთობებისთვის. საქართველოს შეუძლია საკუთარი ნება-სურვილის მიხედვით აწარმოოს სავაჭრო ურთიერთობა



ახლანდელ თუ მომავალ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში.

ქართული ოცნების მთავრობამ ერთმანეთისგან განაცალკევა ეკონომიკური და სოციალური, ასევე პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები. განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში ეს სვლა ეკონომიკურად გამართლებულიყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისთვის საკვანძო საქსპორტო ბაზარი და ფულადი გზავნილებით მიღებული შემოსავლის მთავარი წყაროა. 2012 წლის დეკემბერში რუსეთის მთავრობამ აღიარა, რომ ეკონომიკურ საკითხებს დეპოლიტიზება სჭირდებოდა. რუსეთმა თანდათანობით გახსნა სავაჭრო საზღვრები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა (ძირითადად ღვინო) და მინერალური წყლისთვის. მეორე მხრივ განაცხადა, რომ გაუმჯობესების პროცესის გასაგრძელებლად, საქართველომ უნდა აღიაროს ის, რასაც ის თავად „ახალ რეალობას“ უწოდებს. 2014 წლის იანვარში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა: რუსეთთან პოლიტიკური კავშირების განვითარების მცდელობა არსებული რეალობის აღიარების გარეშე უშედეგო, კონტრპროდუქტიული და არაფრის მომტანია.[1]

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი არ ჩარეულა საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის საქმეში, ის კვლავაც ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობასა და ამ მიმართულებით გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს, როგორცაა მოლაპარაკებები მაპის თაობაზე. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან უფრო ღრმა ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და საბიუჯეტო ინტეგრაციის თაობაზე, რაც აღქმული იქნა, როგორც „რუსეთის პასუხი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე“.[2]

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ათ დღეში გაიმართა საინფორმაციო-საექსპერტო შეხვედრა ქართულ და რუსულ მხარეებს შორის. პრალაში გამართულ შეხვედრაზე ორი ქვეყნის ეკონომიკისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებმა განიხილეს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესაძლო გავლენა საქართველო-

რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე და შესაბამისი ტექნიკური საკითხები. [3] აღნიშნული შეხვედრიდან ორ დღეში გაიმართა აბაშიძე-კარასინის მორიგი შეხვედრა, რომლის განხილვის ძირითადი საკითხი ასევე ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ შექმნილი ახალი რეალობა იყო. [4] მიუხედავად ქართული და ევროპული მხარის მტკიცებისა, რომ ასოცირების ხელშეკრულება და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა წინააღმდეგობაში არ მოდის რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებთან, რუსი მაღალჩინოსნები, მათ შორის, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი ფრთხილად ეკიდება პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გადრმავებას და რუსეთისთვის მოსალოდნელ უარყოფით შედეგებზე აკეთებენ აქცენტს: „როგორც კი ძალაში შევა ასოცირების შეთანხმება და ჩვენ გავაანალიზებთ, რომ ეს ნეგატიურად აისახება დსთ-ს თავისუფალ სავაჭრო ზონაზე, იმ პირობებზე, რა პირობებითაც ჩვენ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გავწევრიანდით, რუსეთი თავდაცვით ზომებს მიიღებს“. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის აზრით კი საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას ევროკავშირთან აუცილებლად ექნება ზეგავლენა რუსეთსა და საქართველოს შორის ვაჭრობაზე. ხოლო პრემიერმა მედვედევმა ხაზი გაუსვა რუსეთის ეკონომიკის დაცვის საჭიროებას.

გავრცელებული მოსაზრება, რომ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ საქართველოს ტრადიციული ექსპორტი რუსეთში მკვეთრად შემცირდება ევროპული სტანდარტების მიღების გამო, ძნელად დასაჯერებელია, ვინაიდან ევროკავშირის სტანდარტები არასოდეს ყოფილა რუსეთში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ექსპორტის წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორი. ამიტომ არ არსებობს ობიექტური მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირის სტანდარტებმა ქართული კომპანიებისთვის წარმოქმნას პრობლემები.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ქართულ და არამარტო ქართულ საექსპორტო წრეებში იყო მოლოდინი, რომ რუსეთი შეეცდებოდა ხელი შეეშალა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისთვის. აღნიშნული ვარაუდი არ გამართლდა და

საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებას რუსეთისგან რაიმე დაბრკოლებებისა და წინააღმდეგობების გარეშე მოაწერა ხელი, თუმცა ასოცირების ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირების შემდეგრუსეთის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა სამთავრობო კანონპროექტი რუსეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შეჩერების თაობაზე. ოფიციალური მოსკოვი აღნიშნულ გადაწყვეტილებას საკუთარი ბაზრის დაცვის აუცილებლობით ხსნიდა. რუსეთში შიშობენ, რომ ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის ამოქმედების შედეგად ევროპული საქონელი რუსეთის ბაზარზე საქართველოდან საბაჟო გადასახადის გარეშე მოხვდება, ვინაიდან საქართველო დსთ-ს თავისუფალი ვაჭრობის ზონაშია. [5] თუმცა რუსეთის ეს არგუმენტი საფუძველს მოკლებულია. ღრმა და ყოველმხომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ამოქმედებით იქმნება შესაძლებლობა, რომ ქართული პროდუქცია გავიდეს ევროპულ ბაზარზე. მაშინ, როცა ევროპული (და არამართო ევროპული) იმპორტისთვის ქართული ბაზარი ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდეც ღია იყო. შესაბამისად, რექსპორტის საფრთხე აქამდეც უნდა დამდგარიყო.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს რუსეთი მესამე ადგილზე იყო იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც საქართველო ექსპორტს აწარმოებდა. ექსპორტირებული საქონლის ღირებულება 275 მილიონ აშშ დოლარს უტოლდებოდა, რაც საქართველოდან განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 9.6 პროცენტს შეადგენს. რუსეთი, ასევე, მესამე ადგილზე იყო საქართველოში იმპორტირებული საქონლის მიხედვით. მთლიანი იმპორტის ღირებულება 853 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც 7.4 პროცენტს უტოლდება. მიუხედავად ამისა, სანქციების, ნავთობზე ფასების ვარდნისა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო რუსეთის ეკონომიკური დადმასვლა გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას, რაც იმოქმედებს საქართველოს ექსპორტზე რუსეთის ეკონომიკური ზრდა 2014 წელს იყო 0.4 პროცენტი (EBRD). ხოლო 2015 წლის პროგნოზი შეადგენს -4.8 პროცენტს (EBRD). 2014 წელს რუსეთის ფასების დონე 11.4 პროცენტით გაიზარდა ხოლო 2015 წლისათვის 13 პროცენტიანი ზრდა არის მოსალოდნელი. რუსეთის წილი საქართველოს ექსპორტში შეადგენს 9.6 პროცენტს (274.9 მლნ აშშ დოლარი - 2014წ), იმპორტში 6.7

პროცენტს (577.7 მლნ აშშ დოლარი - 2014წ), ხოლო ფულად გზავნილებში 49.2 პროცენტს (709.2 მლნ აშშ დოლარი - 2014წ).

აღნიშნული ციფრები და ტენდენცია აჩვენებს, რომ რუსეთის ბაზრის მნიშვნელობა საქართველოსთვის და ექსპორტის მანქანების ზრდისთვის, ერთმნიშვნელოვნად მაღალია. რა თქმა უნდა, რუსეთის ხელისუფლებას ეს ძალიან კარგად ესმის, თუმცა ეკონომიკური ბერკეტების მეზობელ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლისათვის გამოყენება რუსეთისთვის ჩვეული პრაქტიკაა. პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეიძლება იქნეს განხილული რუსეთის მიერ საქართველოსთან თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის გაუქმება. რუსეთის რეაქცია ასოცირების შეთანხმებაზე უფრო გეოპოლიტიკური გავლენის დაკარგვის შიშითაა გამოწვეული, ვიდრე ეკონომიკური გათვლებით. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობა წინააღმდეგობაშია რუსეთის ევრაზიული კავშირის იდეასთან, შესაბამისად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროინტეგრაციისკენ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს რუსეთი საკუთარი ინტერესებისათვის საფრთხედ აღიქვამს. როგორც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელები, ასევე ეკონომიკის ექსპერტები განმარტავენ, რომ რუსეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაუქმება, თუკი ამას დამატებითი პოლიტიკური გადაწყვეტილებები და ხელოვნურად შექმნილი ბარიერები არ მოჰყვება, ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას მნიშვნელოვნად არ დააზარალებს. მართალია, ტარიფების დაწესება გამოიწვევს პროდუქციაზე ფასების ზრდას, თუმცა არა დრამატულად. საქართველო და რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან, შესაბამისად, დადგენილ სატარიფო გადასახადზე მეტის დაწესებას იმპორტზე ქვეყნები ვერ შეძლებენ.

ამრიგად, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება, ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო ხელშეკრულებასთან ერთად, როგორც ასოცირების ხელშეკრულების ნაწილი, არის მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის. ხელშეკრულების სრულად გამოყენება შეამცირებს საქართველოს დამოკიდებულებას რუსეთის შედარებით არასტაბილურ ბაზარზე. [6]

ასოცირების ხელშეკრულება შესაძლებლობას იძლევა, რომ საქართველო, ევროკავშირში გაწევრიანების გარეშე, ევროპულ სივრცეში ეკონომიკურად და პოლიტიკურად საბოლოოდ ინტეგრირებულად ჩაითვალოს. ამასთანავე, უნდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირში შესვლა არ უნდა გახდეს ჩვენთვის „იდეაფიქსი“. ევროკავშირიც ხომ ერთგვარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიული ექსპერიმენტია, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული. მთავარია საქართველომ დასავლეთისაკენ სწრაფვის პროცესში აიმაღლოს სტანდარტები და ეკონომიკურად გაძლიერდეს, რათა იყო კონკურენტუნარიანი არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ მსოფლიო ბაზარზეც.

### ლიტერატურა:

#### References:

1. Vystuplenie i Otvety na voprosy SMI MID Rossii [sityva da kiTxvebbe pasuxi], Sergei V. Lavrov, 21 January 2014, [http://www.mid.ru/brp\\_4.nsf/newsline/B748284D938D69B144257C67003AC3](http://www.mid.ru/brp_4.nsf/newsline/B748284D938D69B144257C67003AC3)
2. Thomas De Waal, cited in ‘Vladimir Putin Signs Treaty with Abkhazia and Puts Tbilisi on Edge’, Financial Times, 24 November 2014, <http://www.ft.com/cms/s/0/24239f90-73e8-11e4-82a6-00144feabdc0.html#axzz3NUAeOaIP>.
3. <http://www.economy.ge/en/media/news/meeting-was-held-on-the-trade-and-economic-issues-within-the-framework-of-informal-dialogue-between-georgia-and-russia>
4. <http://civil.ge/geo/article.php?id=28463&search=>
5. <http://itar-tass.com/ekonomika/1350993>
6. evgeniZe n. ruseTis krizisi da misi gavlena saqarTveloze <http://georgianreview.ge/2015/02/rusetis-krizisi/?lang=ge>

**Irina Benia, Ben Yaakov Rivka**

### **POSSIBLE INFLUENCES OF EU GEORGIA ASSOCIATION AGREEMENT ON THE TRADE-ECONOMIC RELATIONS BETWEEN GEORGIA AND RUSSIA**

#### **Summary**

Georgia signed the DCFTA on June 27 as part of its Association Agreement with the EU. The Georgian parliament unanimously ratified the

Agreement on July 18. The DCFTA takes effect on September 1. An EU study estimated that it will increase Georgian exports to the European Union by 12 percent. Meanwhile, Russian and Georgian experts met in Prague on July 7 to discuss the anticipated impact of the DCFTA on bilateral trade, which had grown by 35 percent during the first five months of this year.

Two days later, on July 9, Russian Deputy Foreign Minister Grigory Karasin and Georgia's special representative for talks with Moscow, former Ambassador Zurab Abashidze, met, also in Prague on July 9. Both sides described the two separate meetings as "productive" and "useful." Karasin was quoted as stressing that "concrete and open dialogue is needed about how [the DCFTA] will impact our bilateral trade."

At the same time, he affirmed that "I think that there is no need to threaten neither ourselves nor partners in advance with measures and sanctions; what is needed is to sit down calmly in mutual respect and thoroughly calculate in which areas and to what extent changes may occur in trade and economic ties between our countries following the recent signature by Georgia of the Association Agreement with the EU."

Indeed, the AA/DCFTA leaves a room for interpretation, as this agreement is also what decision makers make of it. Cooperation with the EU remains based on self-commitment, the more Moldova and Georgia will engage, the more the cooperation will be deepened.

**Keywords:** Association Agreement with the EU, Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), Customs and trade facilitation, bilateral trade, measures and sanctions.

**Reviewer:** Professor Bemna Kvaratskhelia, Georgian Technical University

**Ирина Бения, Бен Яаков Ривка**  
**ВОЗМОЖНОЕ ВЛИЯНИЕ СОГЛАШЕНИЯ ОБ АССОЦИИИ**  
**МЕЖДУ ГРУЗИЕЙ И ЕВРОПЕЙСКИМ СОЮЗОМ НА**  
**ТОРГОВО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ С РОССИЕЙ**

**Резюме**

Соглашение об ассоциации Грузии с Европейским союзом вместе всеобъемлющим торговым соглашением, (что подразумевает создание «глубокой и всеобъемлющей зоны свободной торговли» между Грузией и Евросоюзом (DCFTA)) является важным шагом на пути членства Грузии в Европейский союз. Это огромная возможность для большего благополучия, модернизации и стабильности в Грузии.

Соглашение об углубленной и всеобъемлющей зоне торговли включает устранение тарифных и также нетарифных барьеров и урегулирование широкого спектра вопросов, связанных с торговлей.

Грузия подписала соглашение с Евросоюзом без особенных препятствий со стороны России, хотя после ратификации соглашения Грузинским Парламентом Российское правительство приостановило действие соглашения о свободной торговле между Грузией и Россией.

**Реакция**  
России вызвана больше страхом потери геополитического влияния, чем экономическими расчетами. Восточное партнёрство Евросоюза приходит в противоположность с идеей Евроазиатского союза и воспринимается Россией как угроза национальным интересам.

В Тбилиси надеются, что Россия не пойдет на жесткие меры, в первую очередь, на возобновление торгового эмбарго, но одновременно напоминают, что страна давно диверсифицировала экспортные рынки и даже в случае жестких экономических мер со стороны Москвы катастрофы не произойдет.

**Ключевые слова:** Соглашение об ассоциации, зона свободной торговли, Европейский союз, Восточное партнёрство Евросоюза, торгово-экономические отношения между Грузией и Россией. Эмбарго.

**Рецензент:** Профессор Демна Кварацхелия, Грузинский технический университет

**რავი ბაკურაძე**  
**ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის ეროვნული**  
**სტანდარტების სრულყოფის პერსამპტივები საქართველოში**

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური კავშირების აქტიური განვითარების პირობებში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიის და მისი წარმომადგენლების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან პარმონიზაციის, აკადემიური განათლებისა და პროფესიული სერტიფიცირების რეგულირების სრულყოფის მექანიზმის დანერგვა-დამკვიდრების ფაქტორის მნიშვნელობა მომსახურების ხარისხის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში, რომელიც არსებითია ქვეყანაში საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად.

**საკვანძო სიტყვები:** აკადემიური განათლება, ეთიკის კოდექსი, სტანდარტებთან პარმონიზაცია.

**პრობლემის დასმა.** საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების და დაფინანსებასთან წვდომის ხელშეწყობის მიზნით, თანამედროვე ეტაპზე ფრიად აქტუალურ პრობლემად განიხილება ქვეყანაში კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების და აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) ხარისხის გაუმჯობესება, რამეთუ მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობა აუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს, სამეწარმეო (ბიზნეს) გარემოსა და სუბიექტებისათვის ფინანსური რესურსების (კრედიტის) ხელმისაწვდომობას, რომელიც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფას და საკუთრების ყველა ფორმის კანონიერების, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაცვას განაპირობებს.

საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პრაქტიკის შეფასება. ქვეყანაში მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პრობლემების გადაწყვეტაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს-ით) მომზადება და წარდგენისთვის მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის სფეროების და ფინანსური ანგარიშგების პრაქტიკის გაუმჯობესება არ არის საკმარისი. თუმცა, მოცემული სფეროების რეგულირების სრულყოფას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ეკონომიკის განვითარების სტიმულირებაში, საზოგადოების ნდობის ამაღლებაში



ფინანსური ანგარიშგების სანდოობისა და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მექანიზმების მიმართ.

საქართველო, ბიზნეს გარემოსთან დაკავშირებული მოწინავე პოლიტიკის გატარებით ბიზნესის წარმოების ანგარიშის ინდიკატორის მიხედვით, მიმზიდველი გახდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის. თუმცა, ეს საკმარისი ვერ აღმოჩნდა მრეწველობის დარგში სასურველი შედეგების მისაღწევად, აგრობიზნესის გარდასაქმნელად და ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განსავითარებლად.

საქართველო ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყანაა, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთსულ მოსახლეზე 2013 წლის მდგომარეობით 3 597 აშშ დოლარს შეადგენდა. მშპ-ს დარგობრივ სტრუქტურაში უდიდესი წილი უკავია სავაჭრო მომსახურებას (17,3%) და მრეწველობის (17,2%), სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სერვისების წილი (10,7%), საჯარო ადმინისტრაცია (10,1%), სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და თევზჭერა (9,3%), მშენებლობა (6,7%), ჯანდაცვა და სოციალური სფეროები (5,8%) არის წარმოდგენილი. ყველაზე მნიშვნელოვანი დარგებია სურსათის გადამუშავება და მინერალური წყლების, უაღკოპოლო და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება. ასევე, არსებითია ლითონის, ქიმიური პროდუქტების და ელექტრომოწყობილობების წარმოება, თუმცა ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოებრივი (საჯარო) კონტროლის სისტემასთან ერთად მოქმედებს არასახელმწიფოებრივი (კერძო), რომლის აღიარებულ ფორმას წარმოადგენს აუდიტორული საქმიანობა. აუდიტი ფინანსური კონტროლის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც საზოგადოების ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შექმნისა და განაწილების პროცესში უზრუნველყოფს დავალიანებებისა და ვალდებულებათა შესრულების და ეკონომიკური სუბიექტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მონიტორინგს.

2015 წელს მსოფლიო ბანკისა და საერთშორისო სავალუტო ფონდის ერთობლივი მუშაობის შედეგად წარმოდგენილ იქნა სტანდარტების და კოდექსების შესრულების შესახებ ანგარიში (ROSC), რომელიც 2007 წელს მომზადებული სტანდარტებისა და კოდექსების შესრულების შესახებ ანგარიშის (ROSC A&A) შემდეგ წარმოადგენს ამ ეტაპისთვის უკანასკნელ ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების და პრაქტიკის განახლებულ

შეფასებას აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში. ROSC-ის ანგარიშში ასახულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც გალვენას ახდენს კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების ხარისხზე და მოიცავს როგორც საკანონმდებლო მოთხოვნების, ისე რეალური პრაქტიკის შეფასებას. [6]

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ჩატარებული რეფორმების შეფასებისას აღინიშნება გარკვეული პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც მნიშვნელოვანია მტკიცე კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების სისტემის მშენებლობისთვის. საქართველოში გავრცელებულია ზოგადი წარმოდგენა, რომ ფინანსური სექტორის რეგულირებადი სუბიექტები, მათ შორის, კომერციული ბანკები და სადაზღვევო კომპანიები წარადგენენ მაღალი ხარისხის ფინანსურ ინფორმაციას. ეს მოსაზრება ნაწილობრივ გამყარებულია ისტორიულად ძლიერი პრუდენციული ზედამხედველობით, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. კორპორაციული ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები იზიარებენ აზრს, რომ არარეგულირებადი სუბიექტების მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები დაბალი ხარისხისაა და მათში გამოტოვებულია საერთაშორისო სტანდარტებით მოთხოვნილი განმარტებითი შენიშვნები. შესაბამისად, კრედიტორები არ ცდილობენ პოტენციური მსესხებლების მიერ მოწოდებული ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების უკეთ გამოყენებას. პრაქტიკის ანალიზით იკვეთება, რომ ბანკების მიერ მოთხოვნილი ფინანსური ინფორმაციის უმეტესობა სასესხო განაცხადების დასამუშავებლად კვლავაც საგადასახადო დანიშნულების ანგარიშგებიდანაა აღებული, ხოლო საკრედიტო გადაწყვეტილებები ძირითადად განპირობებულია გირაოს ხელმისაწვდომობით და ღირებულებით, ბიზნეს პროგნოზებით და ადგილზე ვიზიტებით.

საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის პრაქტიკის შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში მაღალი ხარისხის ფინანსურ ინფორმაციაზე მოთხოვნა დაბალია, რაც ზოგადად, ფინანსური ანგარიშგების ხარისხის სისუსტესა და საგადასახადო ანგარიშგების დომინირებას განაპირობებს. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესებისთვის მაღალი ხარისხის ფინანსურ ანგარიშგებაზე მოთხოვნები

მნიშვნელოვნად იზრდება, რადგანაც ზოგიერთ კომპანიას აქვს წვდომა ფასიანი ქაღალდების უცხოურ ბაზარზე და შეუძლია დაფინანსების მოზიდვა საქართველოს ფარგლებს გარედანაც.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის განვითარების დონე საგრძნობლად უსწრებს საკანონმდებლო ბაზისას. შესაბამისად, საქართველომ უნდა განახორციელოს ძირითადი ცვლილებები საკუთრი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ევროკავშირში მოქმედ ღირებულებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს მთავრობის პროგრესული მისწრაფება საკანონმდებლო ბაზის რეფორმირებისაკენ მნიშვნელოვნად განაპირობებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს რეგულირებას ევროკავშირის კანონების, ნორმატიული აქტების და ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

ამრიგად, საქართველომ აუდიტის მაღალი ხარისხის სტანდარტების პრიორიტეტად აღიარებისა და სავალდებულო აუდიტის ფუნქციის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცების მიზნით, უნდა განაგრძოს კანონმდებლობის ცვლილება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ა) განათლება და ტრენინგო; ბ) სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების დამტკიცება და რეგისტრაცია; გ) ეთიკური პრინციპები და აუდიტორების დამოუკიდებლობა; დ) აუდიტის სტანდარტები; ე) ხარისხის უზრუნველყოფა; ვ) საზოგადოებრივი ზედამხედველობა; ზ) აუდიტორების დანიშვნა და გათავისუფლება; თ) აუდიტის კომიტეტები საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სუბიექტებისთვის.

მსოფლიო ბანკის “ანგარიში სტანდარტებისა და კოდექსების შერუსულების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში (ROSC)” შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო ბაზა გაცილებით ნაკლებად განვითარებულია ვიდრე ევროკავშირის კანონებისა და ნორმატიული აქტების კრებული.[7] ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია აუდიტის საზოგადოებრივი ზედამხედველობის შემოღება. ევროდირექტივა ითვალისწინებს გარკვეულ მოქნილობას აუდიტის რეგულირებაში. შესაბამისად, საქართველომ უნდა გამოიყენოს ასოცირების ხელშეკრულებით გამოყოფილი დრო, რათა უფრო მეტი შეისწავლოს აუდიტის ღირებულების სავალდებულო მოთხოვნები და გაითვალისწინოს

არჩევითი დებულების განხორციელება შედარებით უფრო გვიანი პერიოდისთვის.

საქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონი “ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ” [1] მოითხოვს აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას, სადაც მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიღება წარმოადგენს მნიშვნელოვან წინსვლას ფინანსური ანგარიშგების უკეთესი სისტემის შექმნის მიმართულებით. ეს კანონი ავალდებულებს ყველა ქართულ კომპანიას, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო აუდიტის, საკუთარი ფინანსური ანგარიშგებები მოამზადოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. 2015 წლის 1-ლი ივლისიდან ყველა მცირე და საშუალო სიდიდის კომპანიამ უნდა მოამზადოს საკუთარი ფინანსური ანგარიშგებები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SMEs) განკუთვნილი ფასს-ის საფუძველზე, როგორც ეს განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (IASB) მიერ. მიკრო საწარმოებისთვის სხვა კონკრეტული სტანდარტი ჯერ მიღებული არაა.

ხეშოთ აღნიშნული კანონი ავალდებულებს სუბიექტებს, რომ ყველა სავალდებულო აუდიტის განხორციელდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISA) და მისი განმახორციელებელი აუდიტორები ასრულებდნენ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) მიერ გამოცემულ ეთიკის კოდექსს. შესაბამისად, ინსტიტუციური მექანიზმები სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების დანიშვნასთან და აუდიტის განხორციელებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და შედარებით უფრო მეტად შეესაბამება სანიმუშო საერთაშორისო პრაქტიკის და ევროკავშირის აუდიტის დირექტივის მოთხოვნებს.

ამასთანავე, 2012 წლის საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ რამდენიმე პუნქტის ამოქმედება, რომელიც გადავადებული იყო 2015 წლის 1-ელ ივნისამდე, როგორცაა: 1. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტების მიღება (IFRS); 2. სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორების რეგისტრაციის

მოთხოვნები; 3. აუდიტორებისთვის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ეთიკის კოდექსის შესრულების მოთხოვნა; 4. ხარისხის უზრუნველყოფის სავალდებულო შეფასების დაწყება სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორებისთვის; 5. აუდიტორების მიმართ მოკვლევის და დასციპლინარული ღონისძიებების განხორციელება, - მნიშვნელოვანია, რომ ამოქმედდეს შემდგომი დაგვიანებების გარეშე.

ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ანალიზიდან იკვეთება, რომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხი არაერთგვაროვანია სხვადასხვა დარგებისა და საწარმოთა ტიპების მიხედვით. აღნიშნულ ფინანსური ანგარიშგებებს აკლია მნიშვნელოვანი ელემენტი - ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. ფინანსური ანგარიშგების ნიმუშების შესწავლამ თითქმის ვერ გამოავლინა არსებითი განსხვავება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში 2007 წელს განხორციელებულ ROSC-თან შედარებით.[6] კერძოდ: ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მონიტორინგი და შესრულების უზრუნველყოფა საქართველოში დეცენტრალიზებულია და სრულდება ბევრი ინსტიტუტის მიერ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან კონკრეტული დარგის რეგულირებაზე. რის გამოც, კვლავაც არსებობს ხარვეზები ზედამხედველობაში, სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფასა და მონიტორინგში. რეგულირებადი სუბიექტების მიერ ფასს-ის სავალდებულო შესრულება კვლავაც გამოწვევად რჩება.

2007 წლის ROSC-თან შედარებით 2015 წელს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში არ აღინიშნება პროგრესი ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროებასთან დაკავშირებით. კომერციული ბანკების ფინანსური ანგარიშგებები ხელმისაწვდომია მათი ვებ-გვერდების საშუალებით, სხვა რეგულირებადი სუბიექტების ფინანსურ ანგარიშგებებთან წვდომა რთულია, მიუხედავად იმისა, რომ მათ მოეთხოვებათ აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროება. არ არსებობს მოთხოვნა არარეგულირებადი სუბიექტებისთვის წარადგინონ და გამოაქვეყნონ ფინანსური ანგარიშგებები მათი სიდიდის ან სამართლებრივი მოწყობის მიუხედავად. შედეგად, საქართველოში წვდომა ფინანსურ ანგარიშგებებთან კვლავაც შეზღუდულია. [7]

ევროკავშირთან 2014 წელს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების, აუდიტის, რეგულირების და კომპანიების ანგარიშვალდებულების ამაღლებას. ეს ღონისძიებები მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას შესაბამის სამთავრობო ინსტიტუტებსა და პროფესიულ ორგანიზაციებს შორის. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) რჩება ერთადერთ ორგანიზაციად, რომელიც აკმაყოფილებს 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კანონით განსაზღვრულ დელეგირებისა და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილ წევრობის მოთხოვნებს (SMO). შესაბამისად, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ უნდა გააუმჯობესოს თავისი ამჟამინდელი ორგანიზაციული სტრუქტურა და უზრუნველყოს მდგრადი დაფინანსების მექანიზმები მთავრობის მიერ დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ განსაზღვრული წევრობის ვალდებულებების პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს ბაფი უდიდესი პროფესიული ორგანიზაციაა და, ასევე, ორი პროფესიული ორგანიზაცია ცდილობს საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვებას, საკუთარი ორგანიზაციის წევრებისთვის მომსახურების უფრო ფართო სპექტრის მისაწოდებლად და სრული მარეგულირებელი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, პროფესიული ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებით საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესია მიიღებს დიდ სარგებელს, რამეთუ, ყოველივე ზემოთ რეკომენდირებული, ხელს შეუწყობს აუდიტორული მომსახურების ხარისხის ამაღლებას და გავლენას იქონიებს ბუღალტრულ პროფესიაში არსებული განათლების ხარისხზე.

განათლების ხარისხი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ყველა დონეზე საჭიროებს ამაღლებას. თეორიული ცოდნის ამჟამინდელი დონე და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბუღალტრებს შორის დაბალია და მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას პროფესიული განათლების სტანდარტის და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების გასაუმჯობესებლად.[5] უმაღლესი ხარისხის თანამედროვე განათლება ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საქართველოში ამ

პროფესიის შემდგომი განვითარებისთვის. განათლების ხარისხის ამაღლება ახლანდელი და მომავალი თაობებისთვის გააძლიერებს ანგარიშგების პრაქტიკას და გააუმჯობესებს ინფორმაციის ხარისხს.[4]

მნიშვნელოვანია, რომ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში ROSC-ის თავდაპირველი ანგარიშის[6] მომზადების შემდეგ ზოგიერთმა ქართულმა კომპანიამ გააუმჯობესა საკუთარის ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობა და შეძლო საერთაშორისო კაპიტალისა და ფინანსურ ბაზრებზე გასვლა. როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ანგარიშგების ხარისხი საქართველოში კვლავც დაბალია. კავშირის ფინანსური ანგარიშგების ხარისხსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ხშირად არასათანადოდ არის შეფასებული. „უკეთეს ანგარიშგებას შეუძლია პროექტის იდენტიფიკაციის და შერჩევის ხელშეწყობა, კაპიტალის ხარჯების შემცირება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას“. ფინანსური ანგარიშგების სისტემებს, რომელთა გამოყენება, მონიტორინგი და აღსრულება ეფექტურად ხდება, შეუძლია ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა.

ამრიგად, ფინანსური-ანგარიშგება უნდა იყოს უტყუარი და სამართლიანი. შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მიზნის მიღწევა შეუძლებელია ბასს-ით გათვალისწინებული ხარისხობრივი მახასიათებლებით, როგორცაა აღქმადობა, შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა, რომელთა სრულად უზრუნველყოფის გარეშე, ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის მომხმარებლისათვის სასარგებლო ვერ იქნება. შესაბამისად, ბალანსის, მოგება-ზარალის უწყისის, ფულადი ნაკადების ანალიზის, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შეფასების შედეგად წარმოსობილი მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაცია უნდა იქნას გამოყენებული საწარმოს (კორპორაციის) სტრატეგიული განვითარების პროგრამების შესადგენად და განსახორციელებლად.

როგორც ცნობილია, საქართველოს საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა დაიწყო 2000 წლიდან, თუმცა ბასს-ის სრულად დანერგვაზე საუბარი ჯერჯერობით შეუძლებელია.[2;4] ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ამის მიზეზი შეიძლება იყოს: ა)ბასს-ების სამოქმედოდ შემოღება ნაჩქარევად, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების გარეშე; ბ)ბასს-ების

შემოდება ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტების შემუშავების გარეშე; გ)ბასს-ების შემოდება მათი გამოყენების მეთოდური რეკომენდაციების შემუშავების გარეშე; დ)ბასს-ების შემოდება მათი გამოყენების მეთოდური რეკომენდაციების შემუშავების გარეშე; ე)ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სფეროში სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს ფუნქციების ჩამორთმევა (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) ფინანსთა სამინისტროსათვის, რომელსაც ევალება ბუღალტრული აღრიცხვის ნორმების და წესების დამტკიცება, შესაბამისი ინსტრუქციების გამოცემა და მათი პრაქტიკაში დამკვიდრება; ვ) კერძო სამართლის სუბიექტების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების რეგულირება დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციების მიერ, რომელთა ფინანსურმა ინტერესებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობაზე; ზ)ბუღალტერთა დამოუკიდებელმა პროფესიულმა ორგანიზაციებმა სრულიად ვერ უზრუნველყვეს კანონით მინიჭებულ დავალება კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტების შემუშავება; თ)ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების უქონლობა.

კვლევის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა. ქვეყანაში სხვადასხვა მარეგულირებლის, კომერციული ბანკების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბუღალტრების და ფინანსური ანგარიშგებების სხვა მომხმარებლების წარმომადგენლების მოსაზრებები მიუთითებს, რომ საერთაშორისო აუდიტორული ქსელის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის დიდი ნდობით სარგებლობს, ხოლო ადგილობრივი ფირმების და ინდივიდუალური პრაქტიკოსების მიერ გაწეული მომსახურება მიიჩნევა, რომ არ აკმაყოფილებს სტანდარტებს და ზოგადად იწვევს ეჭვს მიუკერძოებლობის თვალსაზრისით. შესაბამისად, საქართველოში ზემოთ აღნიშნული წარმოდგენა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არარსებობა ნაკლებ სტიმულს აძლევს აუდიტორებს, რომ გააუმჯობესონ შესრულებული სამუშაოს ხარისხი.

ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში “ანგარიში სტანდარტებისა და კოდექსების შერსულების



შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში (ROSC)-ის შეფასების და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი ღონისძიებების განხორციელების საჭიროება, რათა მიღწეულ იქნას პროგრესი საქართველოში კორპორაციული ფინანსური ანგარიშგებების შედგენისა და წარდგენის თანამედროვე და ეფექტური ინსტიტუციური სისტემის ფორმირებით, კერძოდ:

1) საჭიროა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიების (PIEs) განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობაში, რომელიც ევროკავშირის ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივასთან შესაბამისობის მიზნით უნდა მოიცავდეს: ა) რეგულირებად ბაზარზე ვაჭრობაში მონაწილე კომპანიებს და ბ) საკრედიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიებს და კომპანიებს, რომლებიც მნიშვნელოვანი არიან საზოგადოებისთვის მათი ბიზნესის ტიპის, სიდიდის ან დასაქმებული ადამიანების რიცხოვნობის გამო;

2) შემოდებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კომპანიების, დიდი, საშუალო, მცირე და მიკროსაწარმოების განსაზღვრებები მათი ბიზნესის სიდიდის და მფლობელობის ტიპის გათვალისწინებით სხვადასხვა კანონებში, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კანონის ჩათვლით, ნებისმიერი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით სტანდარტების შესრულების უზრუნველსაყოფად;

3) შემოდებულ იქნას მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ყველა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე და დიდი საწარმოებისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის დირექტივების შესაბამისად, ინტერნეტის მეშვეობით, სრულად აქვეყნებდნენ აუდიტორის მიერ დადასტურებულ საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებებს აქციონერთა საერთო კრებამდე გონივრული პერიოდის განმავლობაში;

4) უნდა შეიქმნას მდგრადი დაფინანსების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს აკრედიტებულ პროფესიულ ურგანიზაციებს დროულად და ეფექტურად შეასრულონ მთავრობის მიერ დელეგირებული შემდეგი ფუნქციები ყოველგვარი არასათანადო ზეგავლენის და მიკერძოების გარეშე;

**დასკვნა.** საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად შემდეგი ღონისძიებების გატარებით

მიღწეულ იქნება: ა) ფასს-ის თარგმნის პროცესის გაუმჯობესება; ბ) მიკროსაწარმოებისთვის შემდგომი ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებელი სტანდარტების შემუშავება და მიღება; გ) აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიური და პრაქტიკის სახელმძღვანელოების შემუშავება, რაც გააუმჯობესებს აუდიტორული პროფესიის ხარისხს საქართველოში და უზრუნველყოფს საზოგადოების ნდობის ამადლებას ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენლი ინფორმაციის მიმართ. შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პრაქტიკის სრულყოფით შესაძლებელი იქნება მეწარმეობისა და კაპიტალური ბაზრის განვითარება, ფინანსური ფონდების შექმნა და სხვ., რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგრადობას, ინვესტირების გარანტირებულობისა და ბიზნეს პარტნიორებს შორის ურთიერთნდობის განმტკიცებას.

#### ლიტერატურა:

#### References:

1. saqarTvelos kanoni “buRaltruli aRricxvisa da finansuri angariSgebis auditis Sesaxeб”, 2012 w. 29 ivnisi.
2. lipartia z., WumburiZe I. „saqarTveloSi buRaltruli aRricxvisa da auditis regulirebis aspeqtebi saerTaSoriso praqtikis WrilSi“. stu, saerTaSoriso konferenciis masalebi, Tb., 2011. gv 257-258.
3. quTaTelaZe r. kobiaSvili a. auditis safuZvlebi. saqarTvelos teqniki universiteti. Sagamomcemlo saxli „teqniki universiteti“, 2009.
